საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 191 (993)
ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი, 1994 წელი.
ფასი 100.000 კუპონი.

გენერალი იაკუშევი აპირებს ოფიციალურად უარყოს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული ყალბი, როგორც მან უწოდა, ინფორმაცია

25 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თბილისში ჩამოსული რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გენერალ-მაიორი ვასილ იაკუშევი. გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე.

შეხვედრის შემდეგ გენერალი იაკუშევი შეხვდა ჟურნალისტებს, რომლებიც, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა დაინტერესდნენ, თუ როგორ გამოქვეყნდა 21 ოქტომბერს გაზეთ „პრავდაში" მისი ინტერვიუ, სადაც მან, კერძოდ, როცა აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს შეეხო, ცალსახად ხელყო საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. გენერალმა მთელი კატეგორიულობით უარყო ამ ინტერვიუში მოყვანილი ფაქტები, უწოდა მათ აშკარად შეკოწიწებული სიცრუე. მან თქვა, რომ თან ჩამოიტანა გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტთან თავისი საუბრის მაგნიტოფონის ჩანაწერი, რომელიც დოკუმენტურად ადასტურებს, რომ ამის მსგავსი მას არაფერი უთქვამს. გენერალმა განაცხადა, რომ უნდა გაერკვეს ამ ყალბ პუბლიკაციასთან დაკავშირებით კანონიერ საფუძველზე და ოფიციალურად უარყოს იგი. „მე არა ვარ უფლებამოსილი, განვიხილო პოლიტიკური პროცესები, — თქვა ვასილ იაკუშევმა, — ჩემი ქვეყნის მთავრობა ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ერთიანობას და მე, ვასრულებ რა მის დავალებას, არ შემიძლია მქონდეს სხვა თვალსაზრისი".

შეეხო რა ედუარდ შევარდნაძესთან თავისი საუბრის შინაარსს, გენერალმა იაკუშევმა თქვა, რომ მას აინტერესებდა ინფორმაცია პირველწყაროდან რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შესახებ კონფლიქტის ზონაში, რომელიც ახლახან მოსკოვის თათბირზე განისაზღვრა. თუ ამ მანდატით ვიმსჯელებთ. ჩვენ, აღნიშნა მან, უნდა გარდავიქმნათ ახლავე. ამასთან სარდალმა მაღალი შეფასება მისცა სამშვიდობო ძალების მოქმედებას კონფლიქტის ზონაში, სადაც ისინი, როგორც მან თქვა, პატიოსნად და მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებენ თავიანთ ძნელ მისიას. მან დაადასტურა, რომ კოდორის ხეობიდან მთლიანად გაყვანილია ქართული შეიარაღებული ფორმირებები, რითაც მოიხსნა აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხი. მომზადებულია ყველა პირობა, რათა ადამიანები დაბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. ამავე დროს გენერალმა გამოთქვა შეშფოთება, რომ ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი ნელა მიმდინარეობს და თუ ტემპი არ დაჩქარდა, ამას, მისი აზრით, სულ ცოტა 50 წელი დასჭირდება. ამიტომ, აღნიშნა მან, უნდა გაიზარდოს დოკუმენტების შემოწმების ჯგუფებისა და საკონტროლო-გამშვები პუნქტების რიცხვი. ვასილ იაკუშევმა დაადასტურა, რომ რეგიონში არის ძარცვის, ბანდიტური თავდასხმების, სახლების დაწვის ფაქტები. მან შენიშნა, რომ ამ მოვლენებთან ბრძოლა არ შედის სამშვიდობო ძალების ფუნქციაში. მათი მანდატი ითვალისწინებს შექმნას ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების პირობები. რაც შეეხება ადგილებზე წესრიგის დაცვას, ეს არის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების პრეროგატივა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

სამეწარმეო სტრუქტურების მიერ მიზიდული მოსახლეობის თავისუფალი სახსრების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში საბანკო საქმიანობის სრულყოფისათვის და მოსახლეობის თავისუფალი სახსრების სამეურნეო სუბიექტების მიერ მიზიდვის საქმეში წესრიგის დასამყარებლად, 1994 წლის 12 აგვისტოს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ პრობლემათა მოსაგვარებლად მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას. იგივე საკითხების მოგვარებას ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 15 ოქტომბრის განკარგულებაც, რომლითაც ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის მოადგილის თ. ბასილიას ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის მინისტრების, რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის უფროსის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მონაწილეობით.

არ შესრულდა ამ განკარგულებათა ერთი მთავარი მოთხოვნა— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყვეს ამ მეურნე სუბიექტების საქმიანობის აღკვეთა, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიების გარეშე ახორციელებდნენ ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი სახსრების მოზიდვასა და განთავსებას, აგრეთვე ნაღდი ვალუტის გადაცვლის ოპერაციებს. ამან და უკანასკნელ ხანს მოსახლეობის ფართო ფენების სავახშო საქმიანობაში არაჯანსაღმა ჩარევამ, რასაც ხელი შეუწყო ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით შექმნილმა გაუმართლებელმა აჟიოტაჟმა, განაპირობა ის, რომ მასობრივი ხასიათი მიიღო მოსახლეობის სახსრების მითვისებამ და გაფლანგვამ, რის შედეგადაც ღატაკდება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, იზრდება სოციალური დაძაბულობა.

სამართალდამცავმა და მაკონტროლებელმა ორგანოებმა არ გამოიჩინეს სათანადო პასუხისმგებლობა წარმოქმნილი ნეგატიური პროცესების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში. უფრო მეტიც, კომპანია „ოქროს თასი", რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ლიცენზიის გარეშე იზიდავდა მოსახლეობის სახსრებს, შეამოწმა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურატურამ, რომელსაც არც კი აღუნიშნავს ლიცენზიის არარსებობა, ხოლო საგადასახადო ინსპექციამ მხოლოდ დააფიქსირა ლიცენზიის არარსებობის ფაქტი.

სოციალურად საშიში ამგვარი მოვლენების მიმართ, გულგრილი მეთვალყურის პოზიცია დაიკავეს მთაწმინდის, ჩუღურეთის და თბილისის რიგი სხვა რაიონების გამგეობებმა, რომლებმაც რეგისტრაციაში გაატარეს მოსახლეობის მილიონობით დოლარის სახსრების მიმთვისებელ-გამფლანგველი გაკოტრებული კომპანიები: „ოქროს თევზი", „ქოლორი", „აჩი", „სასკო", „ბუმერანგი", „კაპიტალინვესტი", „ოქროს თასი", „მონარქი" და სხვა.

ფულად-საკრედიტო საქმიანობის ამ მნიშვნელოვანი სფეროს მართვას ფაქტობრივად განზე გაუდგნენ რესპუბლიკური და თბილისის საფასო და საბანკო ორგანიზაციები, კონტროლის პალატა.

მოსახლეობის ფულადი სახსრების საბანკო დაწესებულებებში მიზიდვის ცივილიზებული ფორმების ჩამოყალიბება-დამკვიდრების, ამ სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით:

(დასასრული მე-2 გვ.).

პარლამენტის კომისიებში

ბიუჯეტი უდეფიციტო იქნება

გაიმართა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის მეოთხე კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი. კომისიის სხდომაზე მოწვეული იყვნენ ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, კონტროლის პალატის, საგადასახადო ინსპექციის, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლები, პარლამენტის სხვა კომისიათა წევრები, პარლამენტარები.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და საქმიან ვითარებაში გაიმართა. პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მინისტრთა კაბინეტმა წარმოადგინა, გარკვეული შენიშვნები გამოითქვა, მაგრამ მთლიანობაში იგი მოიწონეს.

— პირველად წარმოდგენილია ანტიინფლაციური ხასიათის, უდეფიციტო ბიუჯეტი და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაძაბული ბიუჯეტია, მაინც მისაღებია, რადგან არსებულ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ არის. — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზ კუპალეიშვილმა. — ხარჯები მაქსიმალურად არის შეკვეცილი, შემოსავლების ზრდის პრაქტიკული სხვა გზა არ ჩანს და კომისიამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს, რომელსაც პარლამენტი თავის უახლოეს სხდომაზე განიხილავს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აზრით, მინისტრთა კაბინეტმა მთელი თავისი მცდელობა უნდა წარმართოს წარმოების და შესაბამისად საბიუჯეტო შემოსავლების ზრდისაკენ, საბაჟო დეპარტამენტმა და საგადასახადო ინსპექციამ მუშაობა უნდა გააძლიერონ გადასახადების ამოღებისათვის. კონტროლის პალატამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

აქტუალური ინტერვიუ

საქართველო არ დაეცემა!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე.

— ბატონო სანდრო, დღევანდელ წინააღმდეგობებით სავსე სინამდვილეში თქვენ ხელმძღვანელობთ უწყებას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები. ეს, ალბათ, მძიმე ტვირთია. რას გვეტყოდით ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოში?

— თემა ვრცელია და მასზე საუბარს დიდი დრო სჭირდება. უპირველესად ვიტყვი, რომ ადამიანი ჯერჯერობით ჩვენთან და თითქმის ყველგან, ყოფილ საბჭოეთში, დაუცველია. ტოტალიტარული რეჟიმის რღვევას, სახელმწიფო სტრუქტურების მოშლას, ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობას ლოგიკურად თან სდევს ყოველივე ის, რისი მოწმენიც ვართ. მით უმეტეს, თუ დემოკრატიზაციის პროცესი მიმდინარეობს მძაფრი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ფონზე. ჩვენ ვცხოვრობთ ხანაში, როცა დაინგრა ძველი და ახალი ჯერ არ აშენებულა. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრება დაუნდობელი ბრძოლით ხასიათდება: ასე იყო 200 წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს შექმნის დროს. ასე მოხდა მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში — გერმანიისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების დემოკრატიზაციის დროს, ასეა დღეს აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისას.

მოვლენების მსგავსი განვითარება ტოტალურად იწვევს ადამიანის უფლებების შელახვას. იგი ისტორიულად გარდაუვალია, ვიტყოდი — ფატალურიც კი.

— შესძლებს თქვენი კომიტეტი ამ რეალობიდან გამომდინარე თავისი დანიშნულების აღსრულებას?

— გეთანხმებით, რეალობა რთული და წინააღმდეგობრივია, ამიტომ სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ სწორედ ბ-ნმა ე. შევარდნაძემ საქართველოში დაბრუნების მეორე თვეს დასვა საკითხი სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის შექმნის შესახებ. მან კარგად უწყოდა, რომ ასეთი კომიტეტი მცირერიცხოვანი (თუნდაც მრავალრიცხოვანი), სათანადო სკოლაგაუვლელი (თუნდაც კარგად მომზადებული) კადრებით ვერ შესძლებდა სისხლიანი კონფლიქტებისა და მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში საქართველოს თითოეული მოქალაქის შელახული უფლებების დაცვას, მაგრამ ამ კომიტეტის შექმნა თავისთავად იყო განაცხადი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური და სამოქალაქო კურსის შესახებ. კომიტეტს უნდა გადაედგა პირველი და აუცილებელი ნაბიჯები ადამიანის უფლებათა დაცვის კოორდინაციისათვის, გასცნობოდა დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებას ამ მიმართებით, მოემზადებინა კადრები, საქართველოს თავისებურებათა გათვალისწინებით შეემუშავებინა მოსაზრებანი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის თაობაზე, ამას გარდა, განეხილა ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტები, დახმარებოდა კონკრეტულ ადამიანებს, სათანადო ანალიზის შედეგად განეზოგადებინა კონკრეტიულობა და წინადადებათა პაკეტი ხელისუფლებაში წარედგინა.

— ზემოქმედების რა საშუალებები აქვს თქვენს კომიტეტს ადამიანის უფლებათა რეალური დაცვისათვის?

— ჩვენი კომიტეტი წლეულს, 4 ოქტომბრამდე, საქმიანობდა მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, რომელიც საფუძვლად დაედო კომიტეტის შექმნას. ეს დადგენილება ზოგადად განსაზღვრავდა კომიტეტის ფუნქციებს, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი. კომიტეტს არ გააჩნდა თავისი საქმიანობისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა.

— წლეულს 4 ოქტომბერს, სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ". როგორ განმარტავდით ამ ბრძანებულების არსს?

— ეს ბრძანებულება საქართველოს ცხოვრებაში დიდი მოვლენაა, უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საბუთია, რომელიც ადამიანის უფლებათა რეალურად დასაცავად დროული და აუცილებელი იყო. ეს საბუთი კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივი ბაზაა, სანამ საქართველოს პარლამენტი მიიღებს კანონს საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. ამ საბუთმა შეავსო ის ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლიდა კომიტეტს ადამიანთა უფლებათა დაცვის განხორციელებაში.

სხვა მნიშვნელოვან დებულებათა შორის ამ ბრძანებულებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განიხილონ ის საერთაშორისო კონვენციები, რომლებსაც შევუერთდით იანვარში და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძანებულებით დაწესდა სამოქალაქო კონტროლი თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მკაცრად იყო გამიჯნული საზოგადოებისაგან. იგი ჯადოსნური წრე იყო, რომელიც დღეს გაირღვა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ასეთი მონაპოვარი არ გააჩნია.

ამ საბუთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ის გახლავთ, რომ კომიტეტს მიეცა არა მხოლოდ დეკლარირებული, არამედ სამართლებრივი ზემოქმედების უფლება, რაც გამოიხატება წარდგინების უფლებაში და სხვა. უახლოეს ხანში საქართველოს პარლამენტში შევიტანთ კანონს საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის შესახებ.

— ასეთი უწყება საქართველოში არ არსებობდა, რა პრინციპით ხელმძღვანელობით კადრების შერჩევისას?

— ორი ძირითადი პრინციპით — პატიოსნება და პროფესიონალიზმი. მართალია პროფესიონალიზმის მხრივ ჯერ შორს ვართ სასურველისაგან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე საქართველოს ამ დარგის მომზადებული კადრები ეყოლება.

— დღევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში, როცა ხელფასი ადამიანის მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და საფრთხის ქვეშ დგება ადამიანის უმთავრესი უფლება — უფლება სიცოცხლისა, რას აკეთებს თქვენი კომიტეტი მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

— კომიტეტი ის მმართველობითი აპარატი არ არის, რომელიც თვითონ წყვეტს ამ საკითხებს, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ მოვახდინოთ გავლენა მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე. მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო პაქტს ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. წლეულს, 25 იანვარს, საქართველო შეუერთდა ამ პაქტს. არ ვიცი, საჭიროა თუ არა იმ მოხსენებითი ბარათებისა და კონკრეტული წინადადებების ჩამოთვლა, რომლებიც კომიტეტმა წარადგინა მინისტრთა კაბინეტში განსახილველად და ეხებოდა სოციალურად დაუცველი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხელფასებს, გადასახადებს, ტარიფებს, აუცილებელ შეღავათებსა და სხვა სასიცოცხლო პრობლემებს. კომიტეტი საგანგებო ყურადღებას უთმობს ეკონომიკური რეფორმის განხორციელების დროს სოციალურად დაუცველი ფენების აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოფის საკითხს.

სამწუხაროდ, თვითონ კომიტეტს არანაირი მატერიალური ბაზა არა აქვს გაჭირვებულთა დასახმარებლად.

— უმეტესწილად ადამიანის რომელი უფლება ირღვევა?

— შეიძლება ითქვას, ადამიანის თითქმის ყველა უფლება ირღვევა; განსაკუთრებით მომრავლდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტები, გახშირდა აგრეთვე საცხოვრებელ ბინებში შეჭრის შემთხვევები. ადამიანის ღირსების შელახვა კი, სამწუხაროდ, ყოველდღიურ ამბად იქცა.

— ვინ არღვევს ამ უფლებებს?

— ადამიანის უფლებებს არღვევს ოთხივე ხელისუფლება (უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, პრესა), პოლიტიკური, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული ადამიანები.

დამრღვევთა ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივაა და პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

— ცნობილია, რომ ადამიანის უფლებები ყველაზე მეტად ძალოვან სამინისტროებში ირღვევა. თქვენ რა საშუალებები გაქვთ ძალადობისგან ადამიანთა დასაცავად?

— ჩვენს შემუშავებულ კანონპროექტში საინტერესო ფორმებია მოძებნილი, რათა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა შესძლოს თავისი უფლებების რეალური განხორციელება;

ეს გახლავთ წარდგინების უფლება, სასამართლო სარჩელის აღძვრის უფლება, მოკვლევის უფლება და სხვადასხვა სახის ზემოქმედების საშუალებანი. მალე ეს კანონპროექტი გამოქვეყნდება და მოსახლეობას საშუალება ექნება თავისი აზრი გამოთქვას.

— საზოგადოების უდიდეს აღშფოთებას იწვევს დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის დროს, ასევე საპყრობილეში და კოლონიებში ადამიანის უფლების დარღვევის, ღირსების გათელვის ფაქტები. თქვენს კომიტეტს აქვს საშუალება მოქალაქის დაკავების პირველი დღეებიდანვე აწარმოოს კონტროლი, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებები?

— ჯერჯერობით ეს უფლება კანონით დამტკიცებული არ არის. თუმცა, სახელმწიფოს მეთაურის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით კომიტეტს მიეცა უფლება აღნიშ-

(დასასრული მე-2 გვ.).

გზა—სიკეთეს, აღმშენებლობას!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დღეები აჭარაში

სიკეთე, რომელიც აჭარაშია, მთელი საქართველოს კუთვნილება უნდა გახდეს, თქვა ერთ-ერთი გამოსვლისას ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სიკეთის გავრცელება-გაქვეყნებაში მან გარკვეული მისია ჩვენ, ჟურნალისტებსაც დაგვაკისრა.

აჭარაში შექმნილი სიმშვიდის, წესრიგისა და აღმშენებლობის ატმოსფერო მართლაც იმსახურებს ჩვენი ერის, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღებას. გასაგებია ის ინტერესიც, რომელსაც თითოეული ჩვენგანი იჩენს აჭარიდან მიღებული ყოველი ცნობისადმი. ბათუმში ჩვენი გაზეთის აჭარის ბიუროს გახსნით რედაქციამ საგულისხმო პირობები შექმნა იმისათვის, რომ მკითხველს ჰქონოდა ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია აქ მიმდინარე მოვლენებზე, საერთოდ აჭარაში შექმნილ ატმოსფეროზე, რომელმაც ბევრ სახიკეთო ეროვნულ საქმეს დაუდო სათავე, აჭარას შეუძლია ეკონომიკური აღორძინების ნამდვილი მაგალითიც მისცეს მთელ საქართველოს.

— როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს, რას ფიქრობენ ამაზე აჭარაში, ბათუმში?

ასეთი გახლდათ ძირითადი არსი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დღეებისა ბათუმში, რომელიც ახლახან გაიმართა.

აჭარის საზოგადოებრიობის, ხელისუფლების, საწარმო-დაწესებულებების, ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან პირველსავე შეხვედრაზე, რომელიც სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „მამულიშვილში" გაიმართა, გაზეთის მთავარმა რედაქტორმა გურამ გოგიაშვილმა აღნიშნა: — ჩვენი ხალხი ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდება იმ მოვლენების ობიექტურ ასახვას, რაც აჭარაში ხდება. და ჩვენი გამსვლელი კოლეგიის აქ ჩამოსვლის მიზანიც ის არის, რომ თქვენგან მოვისმინოთ საქმიანი წინადადებები, კრიტიკული შენიშვნები, რათა გაგვიადვილდეს შემდგომი მუშაობა და ყველამ დაინახოს, თუ რამ განაპირობა აჭარაში ეს აღორძინება, რომელიც თანდათან სულ უფრო ვითარდება. სასურველია ეს სიკეთე და გამოცდილება მთელ საქართველოში გავრცელდეს.

შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლებში უმეტესწილად ხაზი გაესვა იმას, რომ ბოლო წლებში ჩვენში ეგზომ მომძლავრებულმა „საგაზეთო ბუმმა", ჟურნალისტიკაში ბევრი არაპროფესიონალის მოძალებამ ზოგიერთი გაზეთი პარტიული თუ პირადი ანგარიშსწორების, სენსაციურობისადმი სწრაფვისა და ამბიციურობის ნამდვილ ასპარეზად აქცია, ეს, აღნიშნავდნენ ორატორები, გამორჩეულად იგრძნობოდა აჭარისადმი, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელისადმი დამოკიდებულებაში. ზოგიერთი გაზეთი დღესაც ვერ გასცდა აჭარაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შეფასებას ჭორისა და მითქმა-მოთქმის დონეზე, რაც აბნევს ჩვენს საზოგადოებრიობას. ისიც აღინიშნა, რომ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეთი დეზინფორმაციის ავტორები და გამავრცელებლები იყვნენ თვით ხელისუფლების, რიგი უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, რაც აჭარის მოსახლეობაში სამართლიან აღშფოთებას იწვევდა.

— გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ", — აღნიშნა თავის გამოსვლაში აჭარის განათლების მინისტრმა ნანი გუგუნავამ, — თავისი მართალი პუბლიკაციებით თავის დროზე შეძლო სიცხადე შეეტანა ამ საქმეში... გაირღვა საინფორმაციო ვაკუუმიც, მაგრამ დღეს ეს აღარ არის საკმარისი. ის დიდი საქმე, რომელიც აჭარაშია დაწყებული საქართველოს კეთილდღეობისათვის, ბოლომდე უნდა იყოს მიყვანილი. სასურველია მეტი ყურადღება დავუთმოთ აჭარის განათლების დარგსაც. მაგალითად, გაზეთს ერთი სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, რომ დიდი გაჭირვების მიუხედავად, აჭარაში ძირითადად შევინარჩუნეთ პედაგოგიური კოლექტივები, ორგანიზებულად დავიწყეთ სასწავლო წელი, და რაც მთავარია, ამ გაჭირვების ჟამს ხუთი ახალი სკოლა ავაშენეთ, როცა ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა.

შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ ზოგჯერ ჩვენს გაზეთშიც იპარება შეუმოწმებელი ინფორმაცია, მაგალითად ისეთი, როგორიც იყო ზ. მაკარაძის ცნობა ხულოს რაიონში ხიდებისა და გზებისადმი აჭარის ხელისუფლების უყურადღებობის შესახებ, ეს მაშინ, როცა სწორედ იმ დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკის" დღეები რომ მიმდინარეობდა, ეს სამუშაოები ხულოს რაიონში წარმოებდა.

ცხადია, სტიქიით დანგრეულ აჭარის მთიანეთს ერთბაშად ვერავინ მოუვლის, მით უმეტეს ახლა, როცა აჭარას 12 ათასი ლტოლვილის შენახვა დააწვა კისერზე, მაგრამ განა ცოტაა ამ წლებში აქ აღდგენილი და აშენებული 128 ხიდი? ურწმუნონი კი ირწმუნებიან, ტყუილია, ამდენი ხიდი აქ არ აუშენებიათო, მაგრამ ასეთ ტყუილს საჯაროდ რომელი ჭკუათმყოფელი ხელმძღვანელი თუ ჟურნალისტი იტყვის?

ბატონი ასლან აბაშიძე, რომელმაც პატივი დაგვდო და ამ შეხვედრას დაესწრო, ასე ჩაერთო იმ დისკუსიაში: — ერთი ჩვენი ოპოზიციონერი პარლამენტარი, რომელიც, როცა აჭარაში ჩამოდის, თითქმის ყოველდღიურად გადადის და გადმოდის გონიოს 176-მეტრიან ახალ ხიდზე, პარლამენტში მაინც იმას ამტკიცებს, ასეთი ხიდი არ არსებობსო. მოდი და, ნუ გაგეცინება კაცს!

მართალია „საქართველოს რესპუბლიკაში" დეზინფორმაცია იშვიათია, მაგრამ წესი წესია და ამიტომაც ბოდიში მოვუხადეთ ჩვენს აჭარელ მკითხველებს.

— ჩვენთან, აჭარაში, — აღნიშნა მწერალმა ჯემალ ჯაყელმა— პრობლემები საკმარისად გვაქვს, საქმე ის არის, ვინ როგორ დაინახავს ამ პრობლემებს. ჩვენ ერთიანი საქართველოს შემადგენელი ნაწილი ვართ და ყველაფერი ის, რაც ქვეყანას აწუხებს, ჩვენც გვტკივა და გვტანჯავს. მაგალითად, ზოგიერთი ჟურნალისტი წერს, რომ აქ რაღაცას ვანგრევთ, მაგრამ იმას აღარ ჩასდევს — რატომ ვანგრევთ. მაგალითად, ახლა ზღვისპირა პარკის გაყოლებაზე თითქმის ნავსადგურამდე ვანგრევთ, მიწასთან ვასწორებთ ყველაფერს. აღარ იქნება ქოხმახები, ძველი გემთმშენებელი ქარხნის კორპუსები, ბევრი სხვა საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ძველი შენობა. სამაგიეროდ აღსრულდება ბათუმელთა მთელი თაობების ოცნება — ზღვისპირა პარკი გაგრძელდება ქალაქის ცენტრამდე. დამშვენდება ბათუმი, ზღვიდან სამშობლოს ნაპირთან მომდგარ კაცს თვალს გაუხარებს.

შეხვედრაზე საინტერესო წინადადებებითა და კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე, მწერლები: ფრიდონ ხალვაში, შოთა ზოიძე, ვახტანგ ახვლედიანი, რამაზ სურმანიძე და სხვები. შემდეგ კი ბატონმა ასლან აბაშიძემ აღნიშნა:

— ყველა ჩვენგანმა კარგად ვიცით, რომ საქართველომ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრი გამოცდა ჩააბარა. ჩვენმა დიდმა წინაპრებმა, ასე თუ ისე, დაგვიცვეს და ფრთხილად გამოგვატარეს ისტორიის ლაბირინთებში, მაგრამ ყველაზე რთული ჟამი საქართველოს მაინც ამ წლებში უდგას. ასე ტოტალურად საქართველოს ხიფათი არასდროს დამუქრებია: თუკი დღევანდლამდე რაღაც ისტორიული ჩარჩოებით მოვედით. ამ ორი-სამი წლის მანძილზე ჩვენი საზღვრები, ჩვენი ქვეყანა შაგრენის ტყავივით იწყებს შემცირებას. ეს ფაქტიც კმარა იმის სათქმელად, რომ დავასკვნათ: ყველაზე რთული ჟამი სწორედ დღეს უდგას ქართველ ერს. ამ პერიოდში კაცის დამდაბლების, სულიერებისა და ზნეობის ბოლომდე დაცემის უმაგალითო რამ მოხდა. ჩვენი პრესა და ტელევიზია ყოველივე ამას გუნდრუკს უკმევდა. განსაკუთრებით ცენტრი. გაიხსენეთ, ერთ პერიოდში როცა გაზეთები აიკრძალა და დაწესდა კონტროლი მათ გამოსვლაზე, ტირაჟზე და ძალიან ბევრი დაბეჭდილი ნომრებიც კი ამოიღეს, სწორედ მაშინ აჭარის წინააღმდეგ მიმართულ ერთ ოპოზიციურ გაზეთს ფართო ასპარეზი მიეცა. მას დაუბრკოლებლად უშვებდნენ. ეს გაზეთი სერიოზულს არაფერს ბეჭდავდა იმის გარდა, რომ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეზე გესლს ანთხევდა. არაერთხელ მივმართეთ ამის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ ეს ყველაფერი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ე. ი. ეს ყველაფერი გარკვეულ სტრუქტურულ ფორმირებებში, გარკვეულ სავარძლებში მსხდომი ხალხის მეშვეობით, სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა. არ დამიმალავს, არც დავმალავ და არც ახლა ვმალავ, რომ ეს იყო ხელისუფლებაში მოკალათებული ერთი მძლავრი ჯგუფის მიერ მიზანმიმართულად და მეთოდურად დღემდე მოქმედი მექანიზმის შედეგი. აქა-იქ ქვეყნდებოდა დადებითიც, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. სწორედ ამ პერიოდში ამ საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევის მთელი სიმძიმე იტვირთა რესპუბლიკის მთავარმა გაზეთმა — „საქართველოს რესპუბლიკამ". ვიტყვი, რომ მაშინ ეს იყო ვაჟკაცური ნაბიჯი, რომელიც გადადგა ამ გაზეთის კოლექტივმა.

მე ულრმესი პატივისცემის გრძნობით მინდა ხაზი გავუსვა ამ გარემოებას და ისიც აღვნიშნო, რომ „საქართველოს რესპუბლიკა" ამით ასრულებს თავის მისიას ქვეყნის წინაშე, უპირველესად საქართველოს მთლიანობის დაცვის საკითხში და დღეს თუ აჭარაში სიმშვიდეა და თუ ჩვენ მნიშვნელოვანწილად მოგვეხსნა მხრებიდან ის უზარმაზარი დაწოლა და იქ — კახეთში, ქართლში, იმერეთსა თუ სხვა რეგიონებში, სადაც ხელი მოუწვდებოდათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე", იმათ შემეცნებაში ძალიან დიდი გარდატეხა მოხდა აჭარაში მიმდინარე პროცესებთან დამოკიდებულებაში.

ხომ იცით, ჩვენში ზოგჯერ ჭორი უკეთესად მუშაობს ვიდრე სიმართლე... რა ვქნათ, ასეთი ბუნების ვართ ქართველები. გაიხსენეთ, ვახუშტისეული ბრწყინვალე შეფასება: ერთის მხრივ ამაღლებული, მეორეს მხრივ კი—ზნედაცემული. აი სწორედ ამ გაორებული სულის ჩრდილოვანი ნაწილის დაჩრდილვაში, დამუხრუჭებაში ძალიან დიდი როლი შეასრულა ამ გაზეთმა. აი, აქ გაზეთის რედაქტორმა აღნიშნა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ვინმეს დაერეკოს და ეთქვას, რატომ ბეჭდავთ დადებით მასალას აჭარაზეო; პირიქით კი ყოფილა: ბევრი სიხარულით კითხულობს — მართლა ასეაო? საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ამ გაზეთს აქვს თავისი პოზიცია, სახელმწიფოებრივი თვალთახედვა და ეს მის ყოველ ნომერში ჩანს.

განსაკუთრებით მადლობა მინდა ვუთხრა გაზეთის კოლექტივს. დღეს ჩვენ უნდა მოვიფიქროთ და განვსაჯოთ ის, თუ ამიერიდან ამ გაზეთში ზუსტად როგორ აირეკლოს და აისახოს ის პროცესები, რაც ამჟამად აჭარაში ხდება. ეს უნდა იყოს ე. წ. „სარკისებური არეკვლა". ჩვენ ვთვლით, რომ კარგი იქნებოდა ჩვენი თანამშრომლობა აგვეწყო იმ სახელშეკრულებო პრინციპით, როგორც გავაფორმეთ „ლიტერატურულ საქართველოსთან" (მაგრამ ჯერაც სრულად ვერ ვიყენებთ იმ ორ გვერდს, რომელიც იმ გაზეთის ყოველ ნომერშია ჩვენთვის გამოყოფილი, როცა აუარებელი მასალა გვაქვს ამისათვის).



შემდეგ ბატონმა ასლან აბაშიძემ ილაპარაკა ავტონომიური რესპუბლიკის პრესის, ტელევიზიისა და რადიოს, საერთოდ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის პროპაგანდის საჭირბოროტო პრობლემებზე, მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, როცა ჩვენივე მოუქნელობითა და წინდაუხედაობით საბაბს ვაძლევთ უცხო ქვეყნების ინფორმაციის საშუალებებს არასწორად აღიქვან ჩვენში მიმდინარე მოვლენები... იგივე ჩვენი პრესისა და ტელევიზიის მიერ გადაცემული მასალების მიხედვით.

მართლაც ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, გამოსასწორებელი ამ მხრივ პრესას, მათ შორის ჩვენს გაზეთსაც. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში" ყოველდღიურ პუბლიკაციებთან ერთად, გაზეთის რედაქცია თვეში ერთხელ მოამზადებს ე. წ. „ჩადგმულ გვერდს" აჭარაში მიმდინარე მოვლენებზე, რაც საზოგადოებრიობას საშუალებას მისცემს უფრო ფართოდ და საფუძვლიანად გაიცნოს მათი არსი, გაიაზროს მათი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების კონტექსტში.

ბათუმში ჩვენი გაზეთის დღეების მიმდინარეობის დროს საინტერესო საქმიანი შეხვედრები გვქონდა აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან და ხელმძღვანელებთან, ვიყავით საქართველოს საზღვაო დეპარტამენტში, რომლის ხელმძღვანელებმაც გაგვაცნეს ის დადებითი შედეგები, რომელიც მოჰყვა ჩვენი გაზეთის პუბლიკაციას რესპუბლიკის ნავსადგურებისა და საერთოდ საზღვაო სანაოსნოს საჭირბოროტო საკითხებზე. ეს ის პრობლემებია, რომელიც მარტო აჭარას არ უნდა აწუხებდეს, იგი მთელი საქართველოს საზრუნავი და საპატრონო უნდა გახდეს. მაგრამ ამაზე შემდგომ...

დასასრულ კი, ჩვენც გვინდა მადლობა გადავუხადოთ აჭარის საზოგადოებრიობას, მის ხელმძღვანელობას, ჩვენს ბათუმელ კოლეგებსა და მკითხველებს იმ თანადგომისა და ხელშეწყობისათვის, რომელიც მათ გაგვიწიეს ამ შეხვედრების ორგანიზაციის დროს. ყოველივე ის, რაც ითქვა ამ დღეების მიმდინარეობისას, ობიექტურად აისახება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

გია ჭელიძე,
ქ. ბათუმი.

მერვე სვეტი

მხარს უჭერენ სახელმწიფოს მეთაურს

25 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ქვემო ქართლის რეგიონის აზერბაიჯანელი მოსახლეობის წარმომადგენლებს.

მათ განაცხადეს, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მხარს უჭერენ სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკას, რაც გამოიხატება ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევით, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, რუსეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირურთიერთობის აღდგენითა და განმტკიცებით.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა მოახსენა მათ მხარდაჭერისათვის.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ვითარება წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, არ დაფიქსირებულა ეროვნებათშორის ნიადაგზე კონფლიქტების ფაქტები.

ამასთან, რეგიონში არსებობს სერიოზული პრობლემები, რომლებიც უმოკლეს დროში უნდა გადაიჭრას და რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით. კერძოდ, დაძაბულია კრიმინოგენური ვითარება, დიდი პრობლემებია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სოციალურ სფეროში. გარკვეულ სიძნელეებს ქმნის ზოგიერთი პასუხისმგებელი პირის დაბალი კვალიფიკაცია.

ამასთან დაკავშირებით შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია ქვემო ქართლში შეიქმნას რეგიონული მართვის ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობს რაიონების უფრო ეფექტიან კავშირს რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებთან, მტკივნეული საკითხების ოპერატიულ გადაწყვეტას, წესრიგისა და დისციპლინის დამყარებას. აღინიშნა, რომ შესაძლებელია მომავალში რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში გაიზარდოს აზერბაიჯანული მოსახლეობის წარმომადგენლობა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

აფხაზეთში საგვარეულო ყრილობები იმართება

ზუგდიდის ტელეკომპანია „ოდიში" გვატყობინებს, რომ უკანასკნელ ხანს აფხაზეთის მთელი რიგი რაიონების სოფლებსა და ქალაქებში იმართება აფხაზური ეროვნების მცხოვრებთა საგვარეულო ყრილობები. კერძოდ, გასულ კვირას ასეთი ყრილობები გაიმართა ოჩამჩირის რაიონის სოფლებში კუტოლსა და ოხინაში. ყრილობებზე განიხილეს დამნაშავეობასთან, ლოთობასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემები, რამაც საშიში მასშტაბები მიიღო დღევანდელ აფხაზეთში. მათი მონაწილენი, უწინარეს ყოვლისა უხუცესები ახალგაზრდობას მოუწოდებენ ნუ ჩაიდენენ მართლსაწინააღმდეგო საქციელს, ხელი მოჰკიდონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. მაგრამ როგორც სოხუმის ტელევიზია აღიარებს, ამგვარ ყრილობებსა და მოწოდებებს სასურველი შედეგი ვერ მოაქვს და რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ შექმნილ სიტუაციაზე. სეპარატისტთა სამართალდამცველი ორგანოების მონაცემებით, ამ ბოლო ხანს სულაც არ შემცირებულა დანაშაულობათა, მათ შორის მძიმე დანაშაულობათა რიცხვი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ენერგეტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
ენერგეტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 22 სექტემბერი, 1994 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
„ენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მეოთხე მუხლის მე-7 პუნქტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
„ენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., № 20, მუხ. 436) მეოთხე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მცირე ენერგეტიკის (1-10 მეგავატი) სიმძლავრის ობიექტების მშენებლობა, საკუთრების ფორმის მიუხედავად, ენერგეტიკულ პროგრამაში შეიტანება, ხოლო 1000 კილოვატზე ნაკლები სიმძლავრის ობიექტების მშენებლობის საკითხი ინვესტორის პრეროგატივაა და დადგენილი წესის მიხედვით შეუთანხმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 11 ოქტომბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს ტერიტორიაზე დღის სინათლის მაქსიმალურად გამოყენების შესახებ

დღის სინათლის მაქსიმალურად გამოყენებისა და შესაბამისად ელექტროენერგიისა და ენერგომატარებლების ხარჯვის შემცირების მიზნით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 29 ოქტომბერს საქართველოს ტერიტორიაზე დაწესდეს „დეკრეტული დრო“ და 00 საათზე საათის ისრები გადაიწიოს ერთი საათით წინ.

2. 1995 წლის მარტის ბოლოდან საქართველოს ტერიტორიაზე დაწესდეს ზაფხულის დრო და საათის ისრები გადაიწიოს კიდევ ერთი საათით წინ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 25 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
ენერგეტიკის შესახებ

კანონი განსაზღვრავს ენერგეტიკის, როგორც სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის წამყვანი შემადგენელი ნაწილის, ადგილს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში, მისი ფუნქციონირების სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს; აწესრიგებს ურთიერთობას ელექტრული და თბური ენერგიის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, აგრეთვე საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროში, განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობებს ამ დარგში. უზრუნველყოფს მის ნორმალურ მუშაობას და გონივრულ განვითარებას საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მუხლი 1. ენერგეტიკის დარგი და მისი ადგილი საქართველოს სამეურნეო კომპლექსში

1. ენერგეტიკა, როგორც სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემადგენელი ნაწილი, არის ეკონომიკის საბაზისო დარგი, რომლის განვითარება პრიორიტეტულია და საბაზრო ურთიერთობის პრინციპებს ემყარება.

2. ენერგეტიკის დარგი მოიცავს ელექტრული და თბური ენერგიის გამომმუშავებელ, გადამცემ და გამანაწილებელ სამრეწველო საწარმოთა, ნაგებობათა და მოწყობილობათა კომპლექსებს, სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო, გამმართავ და სასწავლო ორგანიზაციებს თავიანთი საწარმო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურით.

3. ენერგეტიკის დარგის დანიშნულებაა ადგილობრივი რესურსების უპირატესი გამოყენებისა და მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკურად და ტექნიკურად გამართლებული სამეურნეო კავშირების ბაზაზე მოსახლეობისა და სამეურნეო კომპლექსის ელექტრული და თბური ენერგიით უზრუნველყოფა მისი რაციონალური წარმოებისა და მოხმარების საფუძველზე.

4. ენერგეტიკის დარგის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სათბობით მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წარმოების, აგრეთვე ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების მეშვეობით საკონტრაქტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ფარგლებში. საგანგებო პირობებში მას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 2. საკუთრების ფორმები

1. ენერგეტიკის დარგის სახელმწიფო საკუთრების ობიექტები ექვემდებარება განსახელმწიფოებრიობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზება მათი სხვა დანიშნულებით გამოყენებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების დაუსაბუთებელი შეცვლის საფუძველი ვერ გახდება. ამის შესაბამისად დარგის მმართველი სახელმწიფო ორგანო უფლებამოსილია დასვას ობიექტის ნაციონალიზაციის საკითხი.

2. რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის სხვა დარგების საკუთრებაში არსებული ენერგეტიკული ობიექტების მიმართ სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ ტექნიკური ზედამხედველობისა და დისპეტჩერული მართვის ფუნქციებს.

3. რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ენერგეტიკული მიზნით გამოყენების ნებართვა გაიცემა რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. ენერგეტიკის დარგის ობიექტების ფუნქციონირების სამართლებრივი, ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები

1. ენერგეტიკის დარგის ობიექტები ფუნქციონირებს ამ კანონის, რესპუბლიკის სხვა კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. ენერგეტიკის დარგს მართავს რესპუბლიკური სახელმწიფო ორგანო ამ კანონით და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული დებულებით.

3. ენერგეტიკის მართვის სახელმწიფო ორგანო არის დარგის ინტერესების წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, უზრუნველყოფს დარგის ნორმალურ მუშაობას გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის გათვალისწინებით, ენერგეტიკული ობიექტების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების შემუშავების იურიდიულ და მეთოდოლოგიურ მომსახურებას, ეროვნული კადრების მომზადებას, სამეურნეო კომპლექსის სხვა დარგებთან ურთიერთობის კოორდინაციას.

4. ენერგეტიკის დარგის საწარმოებს და ორგანიზაციებს იურიდიული პირის უფლება აქვთ და დამოუკიდებლად წარმართავენ თავიანთ სამეურნეო საქმიანობას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით. ამავე დროს მათი საქმიანობა რეგლამენტირებულია დარგობრივი ინსტრუქციებით, ნორმატიული აქტებით და სახელშეკრულებო ვალდებულებებით.

5. ენერგეტიკის მართვის სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებები, მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, სავალდებულოა დარგში შემავალი ორგანიზაციებისათვის.

6. ენერგეტიკის დარგის ობიექტებისათვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად, სავალდებულოა დარგობრივი ნორმატიული აქტების და წესების მოთხოვნათა შესრულება.

მუხლი 4. ენერგეტიკის დარგის განვითარება

1. დარგი ვითარდება სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე, რომლის კორექტირების საჭიროებას, ეკონომიკური განვითარების პირობის შესაბამისად, განსაზღვრავს მინისტრთა კაბინეტი. პროგრამა მუშავდება ენერგოდაზოგვის, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა კომპლექსური ფაქტორების შესაბამისად. მისი განხორციელება უზრუნველყოფს დარგის უპირატესი ტემპით განვითარებას, რესპუბლიკის ეკონომიკისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და საბაზრო ურთიერთობის პირობებში.

2. ენერგეტიკის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. დამტკიცებული პროგრამის და დადგენილი წესის შესაბამისად ხდება საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ცალკეული ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის მიზანშეწონილობის დასაბუთება სამეცნიერო-კვლევითი და საძიებო-საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, მას განიხილავენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. შეჯერებული პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

3. საქართველოს ენერგოსისტემის ეფექტიანი განვითარებისა და მისი საერთაშორისო ინტეგრირების საფუძველს წარმოადგენს საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოპოვების გაფართოება და განახლებადი ენერგიის წყაროების უპირატესი ათვისება.

4. მიწის ნაკვეთის გამოყოფა ენერგეტიკული ობიექტების განლაგებისათვის, მისი საკუთრების ფორმების მიხედვით და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხორციელდება რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ახალი ენერგეტიკული ობიექტის მშენებლობისა და შემდგომში მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო სათბობ-ენერგეტიკული წიაღისეულით და სხვა რესურსებით სარგებლობის ნებართვას გასცემს და სხვა აქტებს აფორმებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

6. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულად წყვეტენ ახალი ენერგეტიკული ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

8. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ხელს უწყობს ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებას, მცირე ენერგეტიკის განვითარებას და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ეფექტიანობის გაზრდასთან და კერძო კაპიტალის მოზიდვის გზით ადგილობრივი განახლებადი ენერგიით წყაროების ათვისებასთან.

9. მშენებარე ან მოქმედი ენერგეტიკული ობიექტების ფუნქციონირებას აჩერებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში — საქართველოს პარლამენტი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი ობიექტის ლიკვიდაცია ხდება პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველია კომპლექსური საექსპორტო დასკვნა მოსალოდნელი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორებით გამოწვეული კონკრეტული შედეგების დასაბუთებით, აგრეთვე უნებართვო ან დადგენილი წესის უხეში დარღვევით მშენებლობა. მხარეთა იურიდიული და მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი ამ შემთხვევაში განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ენერგეტიკის განვითარების სახელმწიფო პროგრამა სრულდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის, დარგის შემოსავლის, ბანკის კრედიტების, კერძო კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით.

მუხლი 5. ელექტრული და თბური ენერგიის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ურთიერთობა

1. ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს ელექტრული და თბური ენერგიის მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთობას, არის ხელშეკრულება. ხელშეკრულება განსაზღვრავს ენერგიის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ითვალისწინებს ორივე მხარის ეკონომიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის.

2. ელექტრული და თბური ენერგიის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას ელექტრული და თბური ენერგიის მწარმოებელი და მომხმარებელი ემორჩილებიან დადგენილ წესებს და სახელმწიფო სტანდარტების მოქმედ სისტემას.

3. ელექტრული და თბური ენერგიის მწარმოებელ და მომხმარებელ ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სახელმწიფო ხელს უწყობს კერძო მწარმოებლებს ენერგეტიკული ობიექტების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სახელმწიფო ენერგეტიკული ქსელის გამოყენების საქმეში.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა ენერგეტიკის კანონის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ენერგეტიკის კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 7. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი

1. ენერგეტიკის დარგის საწარმოებს და ორგანიზაციებს აქვთ საგარეო ბაზარზე პირდაპირი გასვლის, აგრეთვე პროდუქციის, მოწყობილობისა და მასალების ექსპორტ-იმპორტის, საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო სამუშაოების, მშენებლობის, დამონტაჟების, ექსპლუატაციისა და შეკეთების, ტექნიკური დოკუმენტაციისა და ლიცენზიების არსებული წესით გაყიდვის, საზღვარგარეთ კადრების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ერთობლივი საწარმოების შექმნის უფლება.

ენერგიის ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, ენერგიის მწარმოებლისა და მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით.

2. დარგის საგარეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ვალუტის ამონაგები ნაწილდება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

3. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკა, დადგენილია ამ კანონისგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების წესები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი,
22 სექტემბერი, 1994 წელი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
სამეწარმეო სტრუქტურების მიერ მიზიდული მოსახლეობის თავისუფალი სახსრების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უახლოეს დღეებში სპეციალურ სხდომაზე განიხილოს სამეწარმეო სტრუქტურების მიერ მოსახლეობის თავისუფალი სახსრების მიზიდვის საქმეში არსებული მდგომარეობა და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები. წარმოქმნილი ნეგატიური პროცესების აღსაკვეთად, განსაზღვროს იმ მუშაკების პასუხისმგებლობის ზომა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებათა და დავალებათა შესრულება ამ საქმეში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

2. აღინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო ინსპექციის, კონტროლის პალატის, რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და რაიონების გამგეობების არასაკმარისი მუშაობა არასახელმწიფო მეურნე სუბიექტების საფინანსო-საკრედიტო საქმიანობის, საკანონმდებლო-ნორმატიული რეგულირების, მოსახლეობის თავისუფალი სახსრების მიზიდვის, გამოყენებისა და დაცვის სფეროში.

დაევალოთ ნ. ჯავახიშვილს, დ. იაკობიძეს, დ. სალარიძეს, ჯ. ბაბილაშვილს, შ. კვირაიას, რ. შავიშვილს, ნ. ლეკიშვილს განახორციელონ გადამჭრელი ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის ეკონომიკის მართვის ყველა დონეზე, გამოავლინონ ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს მოსახლეობის თავისუფალი სახსრების მიზიდვაში ნეგატიური ტენდენციების წარმოშობა, აღმოფხვრან ისინი, საკადრო ღონისძიებათა გათვალისწინებით იმ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვს სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებებს, წინადადებები წარმოადგინოს არა უგვიანეს 10 ნოემბრისა.

3. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი), საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირაია), უზრუნველყონ გაკოტრებული სავაჭრო-სამრეწველო კომპანიებისა და ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეების დროული და ხარისხიანი გამოძიება.

4 დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს (შ. კვირაია), საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას (ჯ. ბაბილაშვილი), სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას (დ. სარალიძე), საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს (ნ. ჯავახიშვილი), საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (დ. იაკობიძე) ერთი კვირის ვადაში უზრუნველყონ იმ მეურნე სუბიექტების საქმიანობის შემოწმება, რომლებიც ეროვნული ბანკის ულიცენზიოდ მიიზიდავენ და განათავსებენ ფიზიკური და იურიდიული პირების სახსრებს. შემოწმების შედეგები მოახსენონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

5. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 15 ოქტომბრის № 215 განკარგულებით შექმნილმა კომისიამ (თ. ბასილია) განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შესახებ ყოველკვირეულად აცნობოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

6. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე) ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის კანონ-პროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ იმ მეურნე სუბიექტების მიმართ, რომლებიც კანონმდებლობის დარღვევით განახორციელებენ ფიზიკური და იურიდიული პირების სახსრების მოზიდვასა და განთავსებას.

7. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ (ლ. პაპავა) იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ორი კვირის ვადაში მოამზადოს კანონის პროექტი რეკლამის შესახებ.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (დ. იაკობიძე), ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი ქაღალდების ემისიისა და რეალიზაციისათვის, მათი ცივილიზებული საბაზრო მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის საჭირო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, შეიმუშაოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისა და მისი მონაწილის საქმიანობის მარეგულირებელი და მაკონტროლებელი მექანიზმი.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა (ნ. ჯავახიშვილი) ერთი კვირის ვადაში მიიღოს მოსახლეობიდან ანაბრების მოზიდვისათვის სამეურნეო სუბიექტებისათვის ლიცენზიების გაცემის წესი და განახორციელოს ზომები მისი დაცვის კონტროლის უზრუნველსაყოფად.

10. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ (ა. გოგელია), მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა განახორციელონ ცალკეული სამეურნეო სტრუქტურების რეკლამა დამკვეთის მიერ შესაბამისი ლიცენზიის წარდგენის შემდეგ. რეკლამის ტექსტში მიუთითონ მხოლოდ დამკვეთის მისამართი და საქმიანობის სახეობა, რომლის რეკლამირებაც ხდება. არ დაუშვან რეკლამის ტექსტში დამკვეთის მიერ მითითებული მოსალოდნელი შემოსავლებისა და სხვა სამეურნეო-ფინანსური შედეგების რეკლამირება.

11. აღნიშნული განკარგულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ო. ფაცაციას.

ე. შევარდნაძე,

თბილისი.
25 ოქტომბერი, 1994 წელი.

მოვლენის წინ
ქართული ავიაცია საერთაშორისო სივრცეში

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია თავისი შექმნის პირველი დღიდანვე საბჭოთა კავშირის ერთიანი ავიაფლოტის მცირე ნაწილი იყო და ჩვენ, ბუნებრივია, მისი მართვის არც გამოცდილება გვქვს და არც პრაქტიკა. მაგრამ ქართველმა ავიატორებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ დარგის ჩამოსაყალიბებლად და ახალორძინებლად შეუძლებელი შესძლეს. ეკონომიკური რეფორმა დღეს აქ უკვე რეალურად ხორციელდება.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ჯემალ კახიანი** განმარტავს, ჩვენ ადრე მხოლოდ სხვისი კანონით, კარნახითა და ნებართვით დავფრინავდით, საავიაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება საქართველოში არ ხდებოდა. მეტიც, ამ საქმის სპეციალისტები რესპუბლიკას არც ჰყავდა და ამ საქმეს არც არავინ გვასწავლიდა. მაგრამ ქვეყანას სამოქალაქო ავიაციის შენარჩუნება და განვითარება ჰაერივით სჭირდებოდა. ავიატორებმა ამ საქმეს შესანიშნავად გაართვეს თავი.

უპირველესად შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა — საჰაერო კოდექსი, სხვა ნორმატიული აქტები. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ავიასაწარმოები, ავიაკომპანიები. სახელმწიფოს ამით საჰაერო სივრცის, საავიაციო საქმიანობის რეგულირების საშუალება მიეცა. ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ, ფასწარმოქმნის სისტემის შეცვლამ მეწარმეებს, ავიასაწარმოებს, ავიაკომპანიებს კონკურენციისა და პირადი დაინტერესების კარგი პირობები შეუქმნა.

27-28 ოქტომბერს თბილისში საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სახელმწიფო მართვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და განვითარების პერსპექტივის თაობაზე საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია გაიმართება. მონაწილეობას მიიღებენ: რესპუბლიკის ავიასაწარმოების, პარლამენტის შესაბამისი კომისიის, მთავრობის, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმწიფოთაშორისი საავიაციო კომიტეტის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის საავიაციო ადმინისტრაციების, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის, ცნობილი უცხოური ავიაფირმების — „ბოინგის“, „ვესტენჰაუზისა“ და სხვათა წარმომადგენლები. კონფერენციის მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია „იაკო“, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურაში შედის და მსოფლიო საავიაციო საქმიანობის ტენდენციებს განსაზღვრავს და არეგულირებს, თავის წარმომადგენლებს წარმოგზავნის თბილისში.

„იაკოს“ წლეულს 50 წელი უსრულდება. ამ საიუბილეო თარიღს საერთაშორისო დონეზე რესპუბლიკაში აღნიშნავენ.

შოთა მაჭარაშვილი.

(დასასრული)

ნული საკითხები შეამოწმოს და სათანადო ზომები მიიღოს. ცხადია, ეს უფლებები კომიტეტს პასუხისმგებლობას აძლიერებს.

— სასამართლო, კანონის შესაბამისად დამოუკიდებელია, მის საქმიანობაში ვერავინ ერევა. გავეცანი თქვენთან შემოსულ საჩივრებს და უმეტესობა სასამართლოზე მოდის, რით ახსნით ამას?

— გეთანხმებით, კომიტეტში შემოსული განცხადებების ნახევარზე მეტი სამართალდამცავი და მათ შორის სასამართლო ორგანოების საქმიანობას ეხება. ეს ბუნებრივიც არის. სასამართლოში წყდება ადამიანისათვის უმტკივნეულესი სასიცოცხლო საკითხები. ვერ ვიტყვი, რომ ჩატარდება რეფორმა და ყველა ადამიანი კმაყოფილი იქნება სასამართლოს საქმიანობით. ცხადია, უკმაყოფილონიც იქნებიან, მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეთ ამის საფუძველი. აი, რა არის მთავარი. სასამართლო რეფორმა აუცილებელია და ალბათ მალეც დაიწყება.

— „ჰელსინკი უოტჩის“ და „საერთაშორისო ამნისტიის“ მასალები საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ გავრცელდა მსოფლიოში. თქვენი აზრი ამ ინფორმაციებზე?

— ამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩვენს კომიტეტს მჭიდრო კონტაქტები აქვს. ჩვენ პატივს ვცემთ მათ საქმიანობას. აღნიშნული ინფორმაციების შესახებ ვრცელი პასუხი გავეცი ორივე ორგანიზაციას. არა მგონია საჭირო იყოს ახლა დამატებით რაიმე შეფასება. ერთს ვიტყვი, რომ შემოსულ ყველა მასალას ჩვენი კომიტეტი ამოწმებს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც იღებს.

— თქვენი აზრი კანონის უზენაესობაზე?

— ჩემი მსოფლხედვა კანონის უზენაესობის აღიარებაა. იქ, სადაც ეს პრინციპი დარღვეულია, არის ანარქია და ქაოსი. დემოკრატიული სახელმწიფოს კანონები ადამიანის უფლებების დაცვის რეალურ შესაძლებლობას უნდა გვაძლევდეს. კანონებში უნდა დომინირებდეს ადამიანის უფლებათა პრიმატი. კანონის უზენაესობა ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი უნდა იყოს.

— ბატონო სანდრო, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ფეხი მოიკიდა პროტესტის ისეთმა ფორმამ, როგორიც „შიმშილობაა“, ის ძალიან ხშირად კონკრეტული პიროვნების მიმართ ძალადური აქტის სახეს იღებს. თქვენ, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას?

— „შიმშილობა“ პროტესტის უკიდურესი ფორმაა, როცა მის უკან მაღალზნეობრივი მოთხოვნები დგას და მას არა აქვს დაწოლის სახე. თქვენ იცით და მე აღარ ვილაპარაკებ, „შიმშილობის“ თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველი ავტორის საოცარ ჰუმანურ თხოვნაზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ძალადობასთან. დღევანდელი „მოშიმშილეების“ გარკვეული ნაწილი ნამდვილად ლახავს ადამიანის უფლებებს, აიძულებენ მას გააკეთოს ის, რაც „მოშიმშილეთა“ ინტერესებში შედის. ასეთი „შიმშილობა“ უზნეობასთან წილნაყარია და ცივილიზებული სამყაროსათვის მიუღებელი.

— მკითხველისათვის საინტერესო იქნება თქვენი აზრი პენიტენციურ სისტემაზე და ისიც, თუ როგორ იცავთ პატიმრის უფლებებს.

— პენიტენციარი — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სინანულს, გამოსწორებას. ჩვენი პენიტენციური სისტემა ნამდვილად ვერ გამოასწორებს შეცდომილს და ვერც დიდ სინანულში ჩააგდებს მას, უფრო გააბოროტებს კი, რადგან იქ საშინელი, არაადამიანური პირობებია. ეს სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ გამოირჩევა თავისი დიდი ჰუმანურობით, მაგრამ ჩვენთან ნამდვილად გაუსაძლისია. საჭიროა კადრები, სახსრები და კიდევ ბევრი რამ. იმედი მაქვს ადამიანები გამოიჩენენ მეტ გულისხმიერებას განსაცდელში ჩავარდნილი, თუნდაც მძიმე ცოდვილის მიმართ. თანდათანობით შეიქმნება იქ ის მინიმალური პირობები, რომელიც აუცილებელია სიცოცხლის, სინანულისა და გამოსწორებისათვის. პატიმრებს ხშირად ვხვდები, ვცდილობ დავეხმარო. არიან იქ ნამდვილად შემთხვევით მოხვედრილებიც. მათ მიმართ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ჰუმანური ღონისძიებები. თითოეული გადარჩენილი, ცხოვრებისაკენ შემობრუნებული ადამიანი ჩვენი საერთო სიხარული უნდა იყოს.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დიდი დაინტერესება პატიმართა ბედით. მისი უწმინდესობა ხვდება სიკვდილმისჯილებსაც და უკანასკნელ იმედს არ უქრობს მათ. საერთოდ ეკლესიამ დიდი როლი უნდა შეასრულოს პატიმართა და დაკავებულთა ცხოვრებაში. უწმინდესსა და უნეტარესს ამ მიმართებით ბევრი რამ აქვს გაკეთებული და კიდევ მეტის გაკეთებას აპირებს. ასე რომ, საქართველოს ეკლესია ცდილობს ადამიანის ღმერთთან მიახლოვებას. ეს დიდი და საპატიო მისიაა.

— საქართველოს მოსახლეობისთვის, და არა მარტო მისთვის, ცნობილია, რომ თქვენ ბრძანდებით სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი კონფლიქტების დარგში. თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვა აღნიშნულთან დაკავშირებით?

საქართველო არ დაეცემა!
აქტუალური ინტერვიუ

— სახელმწიფოს მეთაურმა მომცა ასეთი დავალება. 1992-93 წლებში ამ მისიის აღსრულებას დასჭირდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ჩემი ცხოვრების იმ მონაკვეთის (1992-93 წლების) სასიცოცხლო დრო. ჩემი მოვალეობა ჯერ ქართულ-ოსური, შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძებნაში, ამ მიმართებით საქმიანობათა კოორდინაციაში გამოიხატებოდა.

საქართველოში კონფლიქტების კერების გაჩენამდე მიმაჩნდა და ახლა კიდევ უფრო მეტად გამიმყარდა ეს რწმენა, რომ კონფლიქტების პოლიტიკური და მშვიდობიანი მოგვარების გზა არის ყველაზე ჭეშმარიტი. ჩემი კრედოა უდიდესი განსაცდელის ჟამს მშვიდობიანი გზების ძებნა.

ვთვლი, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ერის გამთლიანებას, სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ხალხის უფლებათა დაცვას. სახელმწიფოში, სადაც საკუთარ მოქალაქეებს განასხვავებენ ეროვნული, აღმსარებლური, ან სხვა რაიმე ნიშნით, განხეთქილება ყოველთვის იქნება.

ასე იყო წინა ხელისუფლების დროს, მყვირალა მიტინგების ლეიტმოტივად ქცეული ის მოსახლეობის ნაწილი, რომელმაც ხმა არ მისცა პრეზიდენტს: უსამშობლოდ, უხელისუფლებოდ, ბედის ანაბარა დარჩენილი ადამიანები. მე ვწერდი ამის შესახებ. თუ გახსოვთ, ჩემი იმ პერიოდის პუბლიკაციები გაზეთ „დრონში“ („მათ სხვა სამშობლო არ გააჩნიათ“ და სხვ.). არ შეიძლება ხელისუფლება მტრად მოეკიდოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მას მხარს არ უჭერს. ხელისუფლება აბსოლუტურად თანაბრად უნდა იცავდეს ყველა თავისი მოქალაქის უფლებებს და ასევე აბსოლუტურად თანაბარი უნდა იყოს კანონის წინაშე ყველა.

— ოპონენტები ხშირად გადანაშაულებენ, რომ თქვენი პოლიტიკა შემრიგებლურია, დამთმობია, სამშვიდობო მოლაპარაკებით საქართველოს მთლიანობის აღდგენა არ სჯერათ. რას იტყვით ამ მოლაპარაკებების ავკარგიანობაზე?

— რაც შეეხება მე, როგორც პოლიტიკოსს, დამთმობი და შემრიგებლური ვარ იქ, სადაც აუცილებელი და საჭიროა დათმობა და კომპრომისი.

საერთოდ, პოლიტიკოსს საზრიანი კომპრომისების დაშვება უნდა შეეძლოს. მთავარია ეს კომპრომისი არ ლახავდეს ზნეობას და არ იყოს მიზანთან მისასვლელი ყველა გზის გამართლება.

ბედნიერია ის პოლიტიკოსი, რომელსაც წინასწარ შეუძლია განსაზღვროს რამდენიმე სვლა, რადგან უბრძენესის ნაფიქრ-ნააზრევსაც კი დრო და განგება თავის ნებაზე ასწორ-აშალაშინებს.

რაც შეეხება მოლაპარაკებათა ავკარგიანობას, მოკლედ ვიტყვი: ეს მოლაპარაკებები აუცილებელია ჩვენთვის.

— აფხაზთა მხარემ არა ერთხელ დაარღვია შეთანხმება. ახეთ ფონზე თქვენ მაინც გჯერათ, რომ ეს მოლაპარაკებები შედეგიანი იქნება?

— კონფლიქტების მოწესრიგება მშვიდობიანი გზით ურთულესი პროცესია. მონაწილე ვარ ყველა საკვანძო ხასიათის შეთანხმების მომზადებისა და ზოგიერთ მათგანზე უშუალოდ ხელისმომწერი. ჟენევის პროცესი მე და ბატონმა ბრუნერმა მოვამზადეთ. კონფლიქტების მოგვარების მთელ ამ ჯაჭვში რამდენიმე შეთანხმება საეტაპო მნიშვნელობისა იყო. კერძოდ: 1992 წლის 24 ივნისს დაგომისის შეთანხმება ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით. ამ შეთანხმებამ ცხინვალის რეგიონში სისხლისღვრის შეჩერების, დიდი ლიახვის ხეობაში ქართულ სოფლებზე ალყის მოხსნის, პატარა ლიახვის ხეობაში ქართული სოფლების შენარჩუნების, ფრონეს ხეობაში ქართული მოსახლეობის დაბრუნების შესაძლებლობის გაჩენის საშუალება მოგვეცა. სამწუხაროდ, აფხაზეთის კონფლიქტის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადასვლამ ხელი შეუშალა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის დაწყებულ სასიკეთო ძვრებს.

დღესდღეობით ქართულ-ოსური კონფლიქტი ახალ ფაზაში გადავიდა, იგი მოითხოვს მოქმედების ახალ საშუალებებს.

ვმონაწილეობდი ე. წ. 3 სექტემბრის საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების მომზადებაში, ხელის მოწერასა და განხორციელებაში. მოწმე ვარ აფხაზთა მიერ ამ შეთანხმების დარღვევისა. 1 ოქტომბერს, ღამით მე გუდაუთაში გახლდით. ამის შემდეგ მომზადდა 1993 წლის 14 მაისის შეთანხმება, ისიც დაარღვიეს აფხაზებმა. შემდეგ იყო 27 ივლისის შეთანხმება, რომელიც ორი თვის განმავლობაში მზადდებოდა. თვით ამ შეთანხმების მომზადების პროცესი იყო ტრაგიკული — ტამიშთან საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო. სახელმწიფო მეთაური იმ დროს სოხუმში იმყოფებოდა, დასალუპავად განწირული. განწირულითქო ვამბობ, რადგან საქართველო სრულიად მარტო აღმოჩნდა ამ ომში, ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელთანაც სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ქვეყნებიც კი აუცილებლად დამარცხდებოდნენ.

მე მაშინ გავაკეთე ამის შესახებ განცხადებები მოსკოვში: ამერიკის, გერმანიის, ინგლისისა და სხვა საელჩოებში. ვთხოვდი დახმარებას.

ჩვენთვის სასიკეთო ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაადგმევინა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ბატონი ე. შევარდნაძის ავტორიტეტმა. და თუ აფხაზთა ამდენი სიმუხთლის მიუხედავად, მაინც მჯერა მოლაპარაკებათა შედეგიანობისა, ამას აქვს თავისი ახსნა.

საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი თანდათან ჩვენს მხარეს იხრება. უკვე თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს არ არის მცირე მონაპოვარი. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით მიზანს.

— რამ გამოიწვია 27 სექტემბერი — სოხუმის დაცემა?

— 27 სექტემბერი — სოხუმის დაცემა... ამაზე ბევრი ითქვა, კიდევ ბევრს იტყვიან. მე უშუალო მოწმე ვარ იმ ტრაგედიისა. ძალიან მიჭირს იმ დღეების გახსენება. ეს იყო ჯოჯოხეთი. იღუპებოდნენ ადამიანები, იწვოდა ქალაქი; საქართველოს ყოფნა-არყოფნა ბეწვზე ეკიდა. არ შეიძლება სოხუმის დაცემაზე ილაპარაკო და არ თქვა, რომ, ალბათ, თვით ამ ფაქტის ფატალური გარდუვალობა ისევ ღალატმა განაპირობა. ერთ პატარა ეპიზოდს გავიხსენებ: როცა აფხაზეთში ომი დაიწყო (14 აგვისტოს), მე მაშინ ტყვედ ვყავდი ქართველებს გალის მახლობელ სოფელში. მახსოვს, ჩემი მეთვალყურე ქართველების სიხარული, როცა ჩვენს ჯარს ხიდი აუფეთქეს აფხაზებმა. ძნელია ამის გახსენება და ამისთვის შეფასების მიცემა...

— ღალატი რომ არ ყოფილიყო, ერთიანი საქართველო შეძლებდა ამ ომის მოგებას, როცა აფხაზთა მხარეს ცნობილი მესამე ძალა ეხმარებოდა?

— სამწუხაროდ, ჩვენ ანალიზს ხშირად ვუქვემდებარებთ მზა ფორმულებს... გეთანხმებით, რომ ის მესამე ძალა, რომელიც თავის სიძლიერით ნებისმიერ ქვეყანას დათრგუნავდა — რასაკვირველია, ჩვენც გაგვანადგურებდა, მაგრამ არ უნდა შეგვექმნა სასიცოცხლო პირობები ამ ძალისათვის. ღალატმა მისცა მას თავისუფალი მოქმედების საშუალება. ღალატი რომ არ ყოფილიყო, სოხუმის ეპიზოდში არ დავმარცხდებოდით.

მე მაქვს ჩემი სიმართლე აფხაზეთზეც და ცხინვალზეც...

— ბატონო სანდრო, თქვენ ორი კვირა ალყაშემორტყმულ ქალაქში იმყოფებოდით. მკითხველისათვის საინტერესო იქნება ორიოდე სიტყვით თქვათ ის, რაც ყველაზე უფრო მეტად დაგამახსოვრდათ.

— მეხსიერებამ შემოინახა მრავალი ფაქტი... საქართველომ ნამდვილად შეიძლება იამაყოს თავისი შვილებით. მამულისათვის თავგანწირვა ჩემთვის ლიტერატურული ან ისტორიული გმირის ქმედება აღარ არის. ის ჩვენი ცხოვრების სინამდვილეა. იქ, სოხუმში, მამულისათვის კვდებოდნენ და ჩემი ცნობიერება მათ სახეებს ჩვენს წინაპართა სახეებთან აიგივებდა...

განსაკუთრებით დამამახსოვრდა სახელმწიფოს მეთაურის გადაღლილი სახე... ჩემმა მეხსიერებამ ეს სახე სამუდამოდ დაუკავშირა ჩვენს დიდებულ წინაპრებს. ხაზს გავუსვამდი მის შინაგან ინტელიგენტობას. ამ თვისებას ადამიანს არ აძლევს გვარიშვილობა, აღზრდა, [illegible] ის ღვთისაგან ბოძებული მადლია...

დაუცველნი, ნაღალატევნი, დამარცხებულნი, სასიკვდილოდ განწირულნი, მწყობრიდან გამოსული ავიალაინერით ვტოვებდით ცეცხლში გახვეულ ქალაქს. შეუძლებელია სიტყვებით გადმოსცე ის, რაც თითოეულ ჩვენგანში ხდებოდა... ჩვენს შორის აღარ იყო ჟიული შარტავა. მის შესახებ საუბარი საგაზეთო სტატიაში ჩემთვის ძნელია. ჩვენ ოცდაათი წლის ნაცნობობა, შემდგომ მეგობრობა გვაკავშირებდა. ერთ თაობას ვეკუთვნოდით. ბევრი, ძალიან ბევრი გასახსენებელი მაქვს მასზე. ჟიული ნამდვილად შესანიშნავი პიროვნება იყო, სავსე ქართული პატიოსნებითა და კეთილშობილებით, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

იმ უბოლოო სასოწარკვეთის ჟამს ბატონი ედუარდი თბილისში ჩამოსვლისთანავე ეახლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს და სულ რამდენიმე ს ათში მოწმე გავხდი საოცარი მეტამორფოზისა. ბატონი ე. შევარდნაძე თვითონაც დაიმუხტა და საზოგადოებაც დამუხტა ახალ მუხტით. ეს მუხტი საქართველოს გადარჩენის აუცილებლობიდან მოდიოდა.

— როგორ შეაფასებდით წლევანდელი სექტემბრის ბოლო კვირის პარლამენტის სხდომას?

— აღნიშნული სხდომა სახელმწიფოს მეთაურის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სვლით გამოირჩევა. ბატონმა ე. შევარდნაძემ უ უსტესი ნაბიჯი გადადგა. მან ანახა ოპოზიციას დღევანდელ პოლიტიკურ, და არა მარტო პოლიტიკურ, ძალთა რეალური თანაფარდობა.

— როგორ გესახებათ საქართველოს ხვალინდელი დღე?

— ხვალინდელი დღის ბალავარი დღევანდელი დღეა. დღეს უნდა გაკეთდეს ის აუცილებელი, რაც სასურველ ხვალესთან მიგვიყვანს. დღეს უნდა დავარისხოთ ზ კორუფციაზე, ყაჩაღობაზე და სხვა უმსგავსობაზე. კორუფცია აწყობილ-დალაგებულ სახელმწიფოებს შლის და ჩვენს ქვეყანას რაღას უზამს?

ადამიანის უფლებები, დემოკრატია, დამოუკიდებლობა ლიტონ სიტყვებად იქცევა თუ ქვეყანაში კორუფციამ მოიკიდა ფეხი. ვითარებაში ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რა უფლებებიც უნდა მისცე მას — ფიქციაა. დღეს საზოგადოება ებრძვის ამ სენს, მაღლა გაჰყვირიან, კიცხავენ, ზენ კორუფციას, მაგრამ ამ ველავ ხმაში, ძნელია ერთმანეთისაგან გაარჩიო მტყუანი და მართალი. ყველანი კორუმპირებულთა წინააღმდეგი არიან, მაგრამ არის ის კორუმპირებული, ვინ აქცია საქართველოს ეკონომიკა, და არა მარტო ეკონომიკა, დასაღუპავად.

სახელმწიფოში კანონის უზენაესობას უნდა ექვემდებარებოდეს ყველა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას. და მჯერა, რომ მივაღწევთ. რთული გზა გვაქვს გასავლელი, ბევრ უკუღმართობას უნდა ლოს ბოლო. ბევრჯერ წავიბორძიკებთ, ბევრჯერ გაგვიცრუვდება იმედი, მაგრამ საქართველო არ დაეცემა, ის ნამდვილად აღორძინდება, გაძლიერდება. ჩვენს მხარეს სიმართლეა და ჩვენთან არის რთი.

საქართველო: საინსტიტუციო რეფორმები და ეკონომიკის მართვა

(მონახაზი)

6. საწარმოო სექტორის სააგენტოები

შესავალი

6.1. წარმოების სექტორში მთავრობის როლი იცვლება, გეგმის შემუშავების და კონტროლის განხორციელების ნაცვლად, მას ეკისრება გარანტირებული სათანადო პირობების შექმნა, რაც გააადვილებს წარმოებათა ინვესტირებას, წარმოებას და ვაჭრობას. ეს გულისხმობს გარემოს გავლენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მრეწველობის სამინისტრო

6.2 გასულ პერიოდში ყველა სამრეწველო საწარმო დამოკიდებული იყო მრეწველობის სამინისტროზე, რომელიც განსაზღვრავდა სამთავრობო დაფინანსებას, კაპიტალური საინვესტიციო რესურსების განაწილებას, სამრეწველო პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას. ამჟამად სამინისტრო თავის ფუნქციებს ხედავს: 1) მრეწველობის დარგობრივი პოლიტიკის შემუშავებაში; 2) საინვესტიციო მოთხოვნილებების განსაზღვრაში; 3) საინვესტიციო რესურსების განაწილებაში და 4) კერძო ბიზნესის წახალისებაში.

6.3. მრეწველობის სამინისტროს შტატი 130 ერთეულით არის წარმოდგენილი, თუმცა შემდგომში ნავარაუდევია მისი შემცირება 100 ერთეულამდე. დღესდღეობით სამინისტრო შედგება ხუთი განყოფილებისაგან, რომლებიც მოიცავს მსუბუქ მრეწველობას, ხე-ტყის მრეწველობას, მანქანათმშენებლობას, ელექტროტექნიკურ მრეწველობასა და ქიმიურ, სამთო და ფარმაცევტულ მრეწველობას. მისი ამჟამინდელი მოღვაწეობა ძირითადად მიზნად ისახავს სამთავრობო საწარმოო სექტორის საწარმოო საქმიანობის მხარდაჭერასა და გაძლიერებას. სამინისტრო ითვალისწინებს, რომ საჭიროა მისი რეფორმა პრივატიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად.

ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო

6.4. ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო ჩამოყალიბდა ყოფილი ვაჭრობისა და მომარაგების მთავარი სამმართველოს შერწყმის შედეგად. სამინისტრო ექვსი განყოფილებისაგან შედგება: სავაჭრო მომარაგება, ფინანსები და განყოფილებები, რომლებიც მოიცავენ ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორს. სამინისტროს ძირითადი ფუნქციაა ვაჭრობის ორგანიზაცია იმ სფეროებში, რომლებსაც ჯერ კიდევ სახელმწიფო განაგებს სახელმწიფო ბრძანებულობითი სისტემის მეშვეობით. მომავალში სამინისტრო თავის როლს ხედავს სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებასა და გაკონტროლებაში[10].

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტი

6.5. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტი არის ახალი ორგანიზაცია, ჩამოყალიბებული 1992 წელს საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით[11]. მას სათავეში უდგას თავმჯდომარე და მისი ოთხი მოადგილე, შტატი შედგება 60-70 ერთეულისაგან, რომლებიც განაწილებულია შვიდ განყოფილებაში. როგორც აღინიშნა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტს გააჩნია როგორც ვაჭრობისა და წარმოების წახალისების, ისე დახმარების კოორდინირებისა და კონტროლის ფუნქცია.

6.6 კომიტეტი ვაჭრობისა და წარმოების წახალისების ფუნქციას ოთხი მიმართულებით ახორციელებს:

— საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შემუშავება და კოორდინირება, საექსპორტო ლიცენზიების გაცემის ჩათვლით[12].

— ადგილობრივ საინვესტიციო წყაროებთან ინვესტორების დაკავშირება; მონაწილე საგარეო ინვესტიციების წახალისება;

— საერთაშორისო სავაჭრო და შიდა საინვესტიციო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

— საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობათა ჩამოყალიბება.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

6.7. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო პასუხისმგებელია მთავრობის პრივატიზაციის პროგრამის მართვისათვის. ამგვარად, იგი წარმოადგენს გარდამავალ ორგანიზაციას, რომელიც პრივატიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ გაუქმდება.

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო

6.8. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ძირითადი შტატი 280 ერთეულისაგან შედგება. სამინისტროს სტრუქტურა უკიდურესად დანაწევრებულია. მას გააჩნია 20 განშტოება, დეპარტამენტი და განყოფილება, რომელნიც ანგარიშვალდებული არიან სამინისტროს წინაშე. სამინისტროს არ აქვს დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ერთეული. სამინისტროს საქმიანობა კვლავ ორიენტირებულია სახელმწიფო საწარმოების მართვასა და ოპერირებაზე, ამ უკანასკნელთაგან 1000 ჯერ კიდევ მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფება.

6.9. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს აფინანსებს დიდი ბრიტანეთის „ნოუ ჰაუს ფონდი" სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სამინისტროს რეორგანიზაციის მიზნით. ივარაუდება, რომ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო გადაკეთდება სააგენტოდ, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს გლეხებისა და კერძო მეურნეობების გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე. სამინისტროს დაგეგმილი რეკონსტრუქციისას უნდა განისაზღვროს განსხვავება: 1) ისეთ გრძელვადიან ძირითად ფუნქციებს, როგორიც ეკონომიკური პოლიტიკა, კვლევა, მრჩეველთა სამსახური, დაავადებათა კონტროლი და განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება; 2) გარდამავალ ფუნქციებს, რომელთაგან სამინისტრომ თანამიმდევრულად უნდა გამოყოს პრივატიზაცია, სახელმწიფო საწარმოების მართვა მშენებლობისა და მიწის გაუმჯობესება, საგარეო ვაჭრობა და კონტრაქტები და 3) სამინისტროს საქმიანობასთან ასოცირებულ ადმინისტრაციული დახმარების ფუნქციებს შორის. იყო წინადადება, რომ ამ ფუნქციების თითოეული ფართო ჯგუფი გაერთიანდეს ცალკეულ დეპარტამენტებში, რომელთაც გაუძღვება მინისტრის მოადგილე.

დასკვნები და რეკომენდაციები

6.10. ადგილი აქვს მრეწველობის სამინისტროს, ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროსა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის ფუნქციების დუბლირებას. არც ერთი ამ ორგანიზაციათაგან არ წარმოადგენს ვაჭრობისა და წარმოების წახალისების **სამთავრობო ორგანოს ისეთ ტიპს, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მრეწველობის სამინისტრო და ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს სტრუქტურა კვლავაც ასახავს გეგმაზომიერი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი „ტრადიციულ ფუნქციებს", რომლებიც ამჟამად უნდა გაუქმდეს.** საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტს გააჩნია გარკვეული ელემენტები დამახასიათებელი ვაჭრობისა და წარმოების წახალისების თანამედროვე ორგანიზაციისათვის. ამ სააგენტოების რეკონსტრუქციისათვის საჭირო წინადადებების შემუშავებისას მთავრობამ უნდა განიხილოს მრეწველობის სამინისტროსა და ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს გაუქმებისა და დარჩენილი გრძელვადიანი ფუნქციების ვაჭრობისა და წარმოების ახალი სამინისტროსათვის გადაცემის შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი შეასრულებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის ფუნქციებს ამ სფეროში. რეკომენდებულია, რომ მთავრობამ გამოძებნოს თავის საწარმოო სექტორის სააგენტოების რეორგანიზაციისა და რეკონსტრუქციის გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელი ტექნიკური დახმარება.

6.11. პრივატიზაციის ფუნქციას მომავალშიც ცალკე ორგანიზაცია უნდა ახორციელებდეს.

6.12. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს რეორგანიზაცია მთავრობამ წარმოდგენილ წინადადებებზე დაყრდნობით უნდა განახორციელოს.

7. განხორციელება

7.1. ბევრი სირთულე, რომელთაც სამთავრობო ორგანიზაციები აწყდებიან თავისი მანდატების განხორციელებისას, ასახავს საზოგადოებრივი სამსახურის მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. აგრეთვე მის ორგანიზაციასა და სტრუქტურაში არსებულ დეფიციტს. ქვემოთ დაჯამებულია რიგი საკითხებისა, რომელთა განხილვა აუცილებელია საინსტიტუციო რეფორმისა და რეკონსტრუქციის ფართო პროცესის ეფექტიანობისათვის.

შეთანხმებული მოქმედება

7.2. მოცემულ გამოკვლევაში რამდენჯერმე აღინიშნა, რომ ეკონომიკური რეფორმის შეფერხება გამოწვეული იყო შეუთანხმებელი მოქმედებით. ეს შეიძლება ითქვას სამინისტროებისა და ოფიციალურ დონეზე, რამაც განაპირობა რეფორმასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნელი და არათანამიმდევრული განხორციელება, სააგენტოებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა და ფუნქციების დუბლირება სხვადასხვა სამთავრობო განყოფილებას შორის. ეს სიტუაცია რიგი ფაქტორებით არის გამოწვეული, **მათ შორის, კადრების არასწორი შერჩევა, რეფორმის პროგრამის კონცეფციისა და განხორციელების გზების არასწორი გაგება, საზოგადოებრივი სამსახურის მართვის ხისუსტე.** ეფექტიან შეთანხმებულ მოქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ გამოკვლევაში რეკომენდებული საინსტიტუციო რეფორმების ეფექტიანად განხორციელების თვალსაზრისით.

საზოგადოებრივი სამსახურის მართვა

7.3. საზოგადოებრივი სამსახურის ეფექტიანი მართვის მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწმობს წესებისა და მიზნების შემუშავების სფეროში ძლიერი ცენტრალური მართვის სისტემის, **აგრეთვე მართვისათვის პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების დელეგირების მაღალი დონის არსებობის აუცილებლობას. თუმცა, ამჟამად საქართველო ამგვარი სისტემის საკვანძო ელემენტების ნაკლებობას განიცდის.**

7.4. ამ სიტუაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი იქნებოდა მინისტრთა კაბინეტში **საზოგადოებრივი სამსახურის ხელმძღვანელის აპარატის შექმნა. მას დაეკისრება სამთავრობო ორგანოების რეფორმისა და რეკონსტრუქციის ზედამხედველობა და მართვის იმ პროცედურებისა და პრაქტიკის წარდგენა, რომლებიც საზოგადოებრივ სამსახურში გამოიყენება.**

7.5. EC/TAIS-ისის მიმდინარე პროგრამა შეიცავს საზოგადოებრივი ადმინისტრაციის რეფორმის პროექტს. ჩამოყალიბდება მართვის სამსახურის ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადმინისტრაციული პროცედურების განვითარებასა და მთავრობის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საზოგადოებრივი ადმინისტრაციის მართვის თვალსაზრისით. ამასთან, პროექტი ითვალისწინებს ექვს სამინისტროში ორგანიზაციასა და მართვასთან დაკავშირებული გამოკვლევის ჩატარებას.[13] ამჟამად დაგეგმილია, რომ მართვის სამსახურის ერთეული თავდაპირველად ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში, რომელიც არ წარმოადგენს სამთავრობო ადმინისტრაციის ნაწილს. შემდგომში რეკომენდებულია ამ წინადადების ხელმეორედ შეფასება და პროექტის **განხორციელება მთავრობის ფარგლებში საზოგადოებრივი სამსახურის ხელმძღვანელის აპარატის კონტროლქვეშ.**

კვალიფიკაციის ამაღლება

7.6. **თუმცა საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე მაღალია, ქვეყანას აკლია ეკონომიკისა და ფინანსების მართვის სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე კადრები. ამიტომ მთავრობამ (და დონორმა სააგენტოებმა) უპირატესობა უნდა მიანიჭონ ამ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ შორის, უნდა გამოიყენოთ სტაჟირება საზღვარგარეთის ქვეყნებში და უცხოეთის მიერ დაფინანსებული მოსამზადებელი კურსები ადგილობრივ ბაზაზე. სამთავრობო ეკონომიკურმა სამსახურმა უნდა შეიმუშაოს დონორების მიერ დაფინანსებული მთავრობის ეკონომისტების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის განვითარებისა და კოორდინირების გეგმა. ამასთან, პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლებას.**

ტექნიკური დახმარება

7.7 საინსტიტუციო რეფორმის პროცესისათვის მხარის დასაჭერად მთავრობას ესაჭიროება უცხოეთის ტექნიკური დახმარება ორ სფეროში:

— პირველი, საჭიროა დახმარება გაეწიოს საინსტიტუციო რეფორმასა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული წინადადებების დეტალურ შემუშავებას კონკრეტული სამინისტროებისათვის (როგორც ეს გაკეთდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსათვის) ან სამინისტროთა ჯგუფისათვის. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული საინსტიტუციო ორგანოს პროგრამა ითვალისწინებს ამგვარ დახმარებას, რომლის მიზანია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება. საწარმოო სექტორის მოკლე მიმოხილვის შედეგად გაირკვა, რომ მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს ამ სფეროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავებას.

— მეორე, სამინისტროს რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ მიზანშეწონილია ტექნიკური დახმარების გაწევა სამოქმედო პროგრამის შემუშავებისა და სამუშაო პროცედურების განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, ეს ეხება სფეროებს, რომლებიც საჭიროებენ კადრების ახალ პროფესიულ მომზადებას.

სტიმულირება და მატერიალური წახალისება

7.8. შემოთავაზებული საინსტიტუციო რეფორმის შედეგიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოხდება რეფორმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელ პირთა მატერიალური წახალისება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ანაზღაურების დონე ამჟამად მეტად დაბალია. მთავრობის მოსამსახურეთა რიგმა აღნიშნა, რომ მხოლოდ იმიტომ შეუძლიათ მუშაობის გაგრძელება, რომ დახმარებას ოჯახის სხვა წევრებისაგან ღებულობენ; კიდევ ერთი მასტიმულირებელი მიზეზი იყო საზღვარგარეთ მივლინებებთან დაკავშირებული დაინტერესება. ირკვევა აგრეთვე, რომ წახალისების არარსებობის გამო გაძნელებულია ახალგაზრდა კადრების საზოგადოებრივ სამსახურში მოზიდვა და ხშირია სამსახურის გაცდენის შემთხვევები.

7.9. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სამსახურისათვის გამართლებული ანაზღაურება და წახალისება დამოკიდებულია შემოსავლის გაზრდის ცდაზე, ეკონომიკის გაუმჯობესებაზე და სამთავრობო სექტორის გამარტივებაზე ამასთან, აუცილებელია საკვანძო თანამდებობის პირების მცირე ჯგუფის წახალისება (რაც გარკვეულწილად განხორციელდა საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნის გზით და ა. შ.) წახალისების კიდევ ერთი საშუალებაა თანამშრომლებმა გაიარონ მოსამზადებელი კურსები საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებში და საქართველოში დაბრუნების შემდეგაც მიიღონ მცირე სტიპენდია, რომელიც განსაზღვრული იქნება მათი წარმატების შესაბამისად. აგრეთვე, შესაძლებელია საკვანძო დარგებში დასაქმებული მთავრობის მოსამსახურეების ხელფასების გაზრდა ტექნიკური დახმარების ხარჯზე. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გაცილებით მომგებიანია დონორ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავდეს ამ სახის სტიმულირების გზები, ვიდრე მოხდეს მათი განვითარება არსებული სახით.

---

[10] კერძოდ, მას თავისი მომავალი ფუნქციები აშშ-ს ვაჭრობის ფედერალური კომისიის ფუნქციების მსგავსად ესახება.

[11] საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტსაც თავისი მომავალი ფუნქციები აშშ-ს ვაჭრობის ფედერალური კომისიის ფუნქციების მსგავსად ესახება.

[12] ბოლომდე გასაგები არ არის, რატომ ენიჭება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტში გადამწყვეტი როლი საექსპორტო ლიცენზირებას.

[13] ეს ექვსი სამინისტროა: ფინანსთა, ეკონომიკის, განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და შრომის დაცვის და სოცუზრუნველყოფის.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 190.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

გასაქანს არ მივცემთ პოლიტიკურ ავანტურისტებსა და მაფიოზებს!

მრავალი მკითხველი მოგვმართავს თხოვნით, უკეთ გავაშუქოთ „რესპუბლიკაში" დამნაშავეობასთან ბრძოლა. „ვიცით, ხალხო, ვიცით, რომ უბედურ დღეში ვართ, ქვეყანა თავზე გვენგრევა, ათასი ჯურის ქურდის, ყაჩაღისა და მამაძაღლის სათარეშოდ რომ არის ქცეული, თქვენ ის დაგვიწერეთ და წაგვაკითხეთ, რამე სიკეთე თუ ჩანს, როგორ აბამენ თავს საქმეს ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები", — მოგვიწოდებენ რუსთაველი გიორგი გვაზავა და იოსებ კირკიტაძე. მსგავსი წერილები მრავლად გვაქვს სარედაქციო ფოსტაში.

მოქალაქეთა ამ კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს ვთხოვეთ, რომელიც ახლახან სწორედ ამ საკითხზე მოხსენებით წარსდგა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის წინაშე.

დღეს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამნაშავეობა საბედისწერო დაბრკოლებად გვექცა ქვეყნის პროგრესის გზაზე. თუ არ აღიკვეთა რეკეტიორთა, მაფიური ჯგუფების პარპაში, სახელმწიფო ქონების ძარცვა, მოსახლეობისა და ახლად ფეხადგმული ბიზნესის ტერორი, რესპუბლიკაში არ შემოვა უცხოური ინვესტიციები, ვერ განხორციელდება რადიკალური რეფორმები, ეჭვქვეშ დადგება საქართველოს მომავალიც კი.

სახელმწიფოს მეთაურმა სწორედ ამიტომ გამოაცხადა ცნობილი 12 ივლისის ბრძანებულებით დამნაშავეობასთან ბრძოლის თვისებრივად ახალი — მეორე ეტაპი.

მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ შარშანდელთან შედარებით გარკვეული წინსვლა იგრძნობა.

ოფიციალური სტატისტიკით, წლეულს 9 თვეში, 1993 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი მძიმე და საშიში დანაშაულობების სერიოზული კლება, როგორიც არის: განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა, ძარცვა, გაუპატიურება, დამნაშავეობა არასრულწლოვანთა შორის. პოზიტიური ძვრები შეინიშნება რესპუბლიკის 35 ქალაქსა და რაიონში: ხაშურში, ზესტაფონში, სამტრედიაში, წყალტუბოში, სიღნაღში, ლაგოდეხში, ბორჯომში, ფოთში, ქუთაისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში...

საგრძნობლად გააქტიურდა მუშაობა ნარკომანიისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების შემთხვევების გამოსავლენად. შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ჩამოართვეს დიდძალი ნარკოტიკული საშუალებანი და საბრძოლო იარაღი. დამნაშავენი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. რამდენადმე გააქტიურდა მუშაობა ე. წ. თანამდებობრივ დანაშაულთა წინააღმდეგ. გამოვლენილია სხვადასხვა მოხელეთა მიერ სახელმწიფო ქონების დატაცების, ანგარებით თანამდებობის ბოროტად გამოყენების, მინდობილი საქმისადმი უსულგულო და დაუდევარი დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ფაქტები, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ ვერ უძლებს კრიტიკას და გადამჭრელ ღონისძიებებს მოითხოვს.

დადებითი ძვრებია დანაშაულთა გახსნაშიც. პოლიციისა და სახელმწიფო უშიშროების ძალებით არაერთი მძიმე დანაშაული გაიხსნა. აქედან განსაკუთრებით გამოვყოფდი წალენჯიხის პოლიციის უფროსისა და მისი თანამგზავრების მხეცურად დახოცვის საქმის გახსნას, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ზესტაფონის სარაიონთაშორისო პროკურატურამ და გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატმა. მკვლელები მალე წარდგებიან სასამართლოს წინაშე და დამსახურებულადაც დაისჯებიან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, ადრე თუ გვიან, სხვა გახმაურებული საქმეებიც გაიხსნება.

სერიოზული ძვრებია პროკურატურის საგამოძიებო აპარატის მუშაობაშიც: გასულ წლებთან შედარებით პირველად დაფიქსირდა გამოძიებით დამთავრებულ და სასამართლოში განსახილველად გაგზავნილ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. დღეისათვის ასეთი 1100 საქმეა გაგზავნილი სხვადასხვა სასამართლოში. იზოლირებულია არაერთი საშიში დამნაშავე. მათ შორის, მკვლელები, ბანდიტები, ყაჩაღები, ადამიანის გამტაცებლები, რეკეტიორები და მაფიოზური ჯურის სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტები. პროკურორებმა 9 თვის განმავლობაში დააპატიმრეს 4465 პირი, ანუ შარშანდელთან შედარებით 830-ით მეტი.

პროკურატურაში გრძელდება მუშაობა აფხაზეთში სამხედრო დამარცხების გამომწვევ მიზეზებზე. გადახალისდა და ხელახლა დაკომპლექტდა 22-კაციანი სპეციალური საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ალექსანდრე შუშანაშვილი. იგი მთლიანად ამ უმნიშვნელოვანესი საქმის გამოძიებას განაგებს და გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში ამხელს და სააშკარაოზე გამოიყვანს კონკრეტულ დამნაშავეებს, რომელთა მიმართაც განხორციელდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო სისტემაში გამოვლენილ დანაშაულებრივ დარღვევებზე. აღძრულია 50-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე. დაპატიმრებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული არაერთი პირი. ჩამორთმეულია და სახელმწიფოს დაუბრუნდა მილიარდობით კუპონი, დიდძალი რუსული რუბლი და სხვა უცხოური ვალუტა. ჩამორთმეული ფულადი სახსრები უფრო მეტი იქნებოდა, ძირითადი დამნაშავენი საზღვარგარეთ რომ არ გაქცეულიყვნენ, რაც, გასაგები მიზეზების გამო, ხელს უშლის საქმის გამოძიების დამთავრებას. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესაბამისად, დამატებითი ღონისძიებები ტარდება ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების დასაჩქარებლად. შეკრებილი მასალების ანალიზის საფუძველზე მომზადდა და საკოორდინაციო საგანგებო კომისიას წარედგინა ღონისძიებათა მთელი პაკეტი, რომელთა საფუძველზეც შემდგომში თავიდან ავიცილებთ იმ დარღვევებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს სახელმწიფო სახსრების დატაცებას.

და მაინც მიგვაჩნია, რომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებას აკლია ოპერატიული სიმწვავე და სიღრმეში წვდომა. საჭიროა ვამხილოთ ის კონკრეტული დანაშავე ელემენტები თუ სტრუქტურები, რომლებიც ამა თუ იმ კრედიტების უკან დგანან. სინამდვილეში ეს რომ ასეა, კარგად დაგვანახა ბანკ „ოპიზარის" დანაშაულებრივმა საქმიანობამ, რის მხილებამაც, ჩემს მიმართ ზოგიერთი პარლამენტარის მრისხანე გულისწყრომა გამოიწვია. საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი ცალკეული ბანკების სამწუხარო როლი ფულადი კრედიტების განიავებაში. იქ დღესაც მოკალათებული არიან კორუმპირებული პირები, რომლებიც კრედიტის მიცემაში საერთო რაოდენობის 30-დან 50-მდე პროცენტს თხოულობდნენ. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გამარტივებული მიდგომა და ყალბი საგარანტიო დოკუმენტების უკრიტიკოდ მიღება, რომელთა საშუალებითაც მილიარდობით მანეთის კრედიტები აღმოჩნდა დამნაშავეთა ხელში. ამ ფონზე გაოცებას იწვევს იმ ვაიპოლიტიკოსთა უტიფრობა, რომლებიც დიდი აზარტით თამაშობენ ჩვენი ხალხის დროებით სოციალურ სიძნელეებზე და თავს გვაჩვენებენ, თითქოს დიდად შესტკივათ გული ადამიანთა გაჭირვებაზე. სინამდვილეში კი, სხვადასხვა ფინანსური მაქინაციების გამო, პირადი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე, უდიდესი წვლილი მიუძღვით ქვეყნის ეკონომიკის დაქცევასა და გაპარტახებაში. გარწმუნებთ: გამოძიება გაარკვევს ჭეშმარიტებას და სხვადასხვა ხელოვნური დაბრკოლების მიუხედავად, ყველაფერს დაარქმევს თავის სახელს — კანონის დამრღვევნი დამსახურებულ სასჯელს ვერ გაექცევიან.

ახალ სტადიაში შედის, აგრეთვე, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება, რაც დაკავშირებულია იმ მთავარ დამნაშავეთა დაპატიმრებასთან, რომელთა სინდისზედაც არაერთი მუხანათობა და მძიმე დანაშაულია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ლოთი ქობალიას და მის უახლოეს თანამზრახველებს. გამოძიება საგმაოდ ნაყოფიერად მიმდინარეობს და, ვფიქრობ, ბევრ მწვავე კითხვას გაეცემა პასუხი.

რაც მოგახსენეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მძიმე და შრომატევადი საქმიანობისა, რასაც სამართალდამცავი ორგანოები ეწევიან ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად. ეს ერთგვარი პოზიტიური ტენდენციებია, რომლის ფონზეც სერიოზული დაპირისპირება უნდა გაიმართოს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეკეტიორთა და სხვა მაფიურ დაჯგუფებათა დანაშაულებრივი საქმიანობა, ღრმა კონსპირაციული ხასიათისაა და ამიტომ გასაგები მიზეზების გამო, მთლიანად ვერ აისახება დამნაშავეობის ოფიციალურ სტატისტიკაში. ასე რომ, სრულებითაც არ მღალატობს რეალობის გრძნობა და, მიღწეულის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ მდგომარეობა გაცილებით მძიმე და სერიოზულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ განხორციელებული ზომები ჯერ კიდევ არ არის ფაქტობრივი კრიმინოგენული ვითარების ადეკვატური.

კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. 9 თვეში საქართველოში რეგისტრირებულია განზრახ მკვლელობისა და მისი მცდელობის 519 შემთხვევა. თუ ამას დავუმატებთ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების 214 და უგზოუკვლოდ დაკარგვის 448 შემთხვევას, დამეთანხმებით, მეტად მძიმე სტატისტიკაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განზრახ მკვლელობათა და სხეულის მძიმე დაზიანების მესამედზე მეტი ჯერ კიდევ გაუხსნელია, ვითარების სიმძაფრე უფრო რელიეფურ სახეს მიიღებს.

კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება იმ პირთა დაძებნა-დაპატიმრების საკითხი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაიქცნენ და ემალებიან გამოძიებას. დღეისათვის იძებნება 2020 პირი, რომლებსაც სხვადასხვა მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი. სწორედ ამიტომ იყო, რომ თათბირზე სახელმწიფოს მეთაურმა ასე მწვავედ და სამართლიანად გააკრიტიკა სამართალდამცავი ორგანოები ამ მიმართებით გაწეული მუშაობის ნაკლები ეფექტიანობის გამო. ამჟამად დამატებითი ღონისძიებები ხორციელდება ბოროტმოქმედთა დაძებნის გასააქტიურებლად.

ამ დანაშაულთა საგამოძიებო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ არის დაკავშირებული მაფიურ ძალთა გააქტიურებასთან. აქ ძირითადად ორი მიმართულება იკვეთება: 1. გავლენის სფეროების განაწილებასთან, ე. წ. ქურდულ გარჩევებსა და მაფიის სხვა დამსჯელ ღონისძიებებთან დაკავშირებული ჯგუფური (ორ და მეტ პირთა) მკვლელობები, რაც განსაკუთრებით გავრცელდა ამ ბოლო დროს თბილისში; 2. არასასურველ პირთა თავიდან მოცილება მოსყიდული მკვლელების საშუალებით. საგულისხმოა, რომ დამნაშავეთა მიერ განხორციელებული ეს სისხლიანი აქტები გარეგნულად ხშირად ადამიანთა უგზო-უკვლოდ დაკარგვის სახით არის შენიღბული, რაც სამართალდამცავი ორგანოების დიდ დაკვირვებასა და პროფესიულ სიფხიზლეს მოითხოვს.

მოკლედ იმის შესახებ, თუ რა კეთდება რესპუბლიკის პროკურატურაში ამ მიმართებით. წლეულს გამოძიებული და სასამართლოში განსახილველად გაგზავნილია განზრახ მკვლელობის 140 სისხლის სამართლის საქმე 185 პირის მიმართ. ჩვენი ზედამხედველობით დამთავრებულია და ასევე სასამართლოშია გადაცემული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების 36 საქმე 45 პირის მიმართ. შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა ფარულ ვითარებაში ჩადენილი მკვლელობის საქმეთა გასახსნელად. აღარაფერს ვამბობთ ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალურ სამსახურზე, რომლის შექმნაც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სისტემაშია გათვალისწინებული.

თუ ორგანიზებული დამნაშავეობა ადრე აფხაზეთში ომისთვის გაწეულ მატერიალურ ხარჯებზე პარაზიტობდა, ხოლო სამოქალაქო ომის პირობებში — საკრედიტო სისტემაში დაშვებულ დარღვევებზე, დღეს მთელი მისი ყურადღება გადატანილია ნავთობის უკანონო რეწვაზე, ნარკობიზნესსა და ლითონის ჯართის სარეალიზაციოდ საზღვარგარეთ გატანაზე. არაფერს ვამბობთ სავაჭრო ჯიხურების რეკეტირებაზე, ხე-ტყის უკანონო რეწვაზე და სხვა.

თუ რას ნიშნავს ნავთობის მოპოვებაზე სახელმწიფო მონოპოლიის დარღვევა და უზარმაზარი ფულადი შემოსავლების უკანონოდ თავმოყრა დამნაშავეთა ხელში, ამაზე მსჯელობას არ შევუდგები. არაერთხელ თქმულა იმ მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფაზეც, რასაც ნავთობის კუსტარული რეწვით დღითი დღე ვუახლოვდებით: ბინძურდება სავარგულები, იწამლება ატმოსფერო, ჩნდება ადამიანთა ახალი, მძიმე დაავადების საშიში კერები და სხვა. შექმნილი ვითარება ართულებს უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობას, რომლებიც მონდომებული არიან დაგვეხმარონ ნავთობის ცივილიზებული წესით მოპოვებასა და გადამუშავებაში. ქვეყნის ბიუჯეტი კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს. თვეობით ელოდებიან ხელფასს მასწავლებლები, ექიმები, კულტურის მუშაკები და სხვ. ერთი რამ ცხადია: გამოვლენილი ფაქტები და მათზე რეაგირება აბსოლუტურად არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას, რაზედაც (სხვა საკითხებთან ერთად) პერსონალური მსჯელობა იქნება 29 ოქტომბერს რესპუბლიკის პროკურატურის გაფართოებულ კოლეგიაზე ჩვენი საქმიანობის 9 თვის შედეგების განხილვის დროს. სახელმწიფოს მეთაურის დავალებით, როგორც იცით, ნავთობსარეწების დაცვას და საერთოდ ამასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას, ხელი მოჰკიდა შინაგანი ჯარის სარდალმა გია თორაძემ, რომელმაც უკვე მიიღო დამაიმედებელი ზომები. დასახულია ღონისძიებები ამ მიმართულებით პროკურატურის სამსახურების გასააქტიურებლად.

რესპუბლიკის პროკურატურა სისტემატურად სწავლობს სტრატეგიული ნედლეულისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ტვირთების საზღვარგარეთ გატანის კანონიერებას. იმის მიუხედავად, რომ მინისტრთა კაბინეტმა საქართველოდან ჯართის გატანა საერთოდ აკრძალა, ცალკეული ფირმები, სხვადასხვა გამონაგონი მოტივებით, მაინც ახერხებენ ამას. მაგალითად, ჯერ კიდევ ყოფილი პრემიერის თენგიზ სიგუას ერთპიროვნული კანონსაწინააღმდეგო განკარგულების საფუძველზე, ფირმა „კოდორს" ნება დაერთო ფოთის საბაჟოს გავლით საზღვარგარეთ გაეტანა 1300 ტონა შავი ლითონის ჯართი. ამ გამონაკლისს საბაბად ედო მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელი დანადგარების შემოტანა ბარტერული გაცვლის წესით. სინამდვილეში „კოდორმა" უკანონოდ გატანილი ჯართის საფასურად, ქვეყნისათვის საჭირო მოწყობილობის ნაცვლად, შემოიტანა დიდძალი ...ლუდი, რაზეც ზოგ-ზოგებმა კარგად მოითბეს ხელი.

თურქეთის საბაჟოდან ახლახან მიღებული ინფორმაციით, შარშან, წლის განმავლობაში, საქართველოდან თურქეთში გატანილია 6 ათასი ტონა შავი ლითონის, 11 ტონა სპილენძისა და 355 ტონა ალუმინის ჯართი. ჩვენი საბაჟოს ოფიციალური მონაცემებით კი... არც ერთი კილოგრამი ლითონი არ ითვლება გატანილად. თითქმის იგივე მდგომარეობაა წიწვოვანი ხე-ტყის გატანასთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთ ჯართის დიდი პარტიის გატანის შემთხვევა წლეულს, სექტემბერშიც დაფიქსირდა. ყველა აღნიშნული ქმედების კანონიერების შესწავლას რესპუბლიკის პროკურატურა უკვე შეუდგა და შესაბამის შეფასებასაც მისცემს.

შემოწმებებით ირკვევა, რომ კანონის დარღვევა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში სისტემატური ხასიათისაა, რითაც ილახება სახელმწიფოს ინტერესები, კერძო პირების ხელში უკანონოდ ხვდება ის ფულადი სახსრები, რაც ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს.

შარშან, 24 დეკემბერს, პარლამენტმა მიიღო კანონები აქციზისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ, რომლებიც ძალაში შევიდა ამა წლის 1 თებერვლიდან. საეჭვო, გაურკვეველი მიზეზების გამო, საბაჟო დეპარტამენტმა ამ კანონებით ხელმძღვანელობა თითქმის ორი თვის დაგვიანებით დაიწყო, რის შედეგადაც ბიუჯეტმა 2 მილიონ 300 ათასი დოლარი დაკარგა. უფრო მეტიც, დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ რატომღაც წესად აქცია საკუთარი შეხედულებით ცალკეული ფირმების განთავისუფლება შესაბამისი საბაჟო გადასახადებისაგან. მაგალითად, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თვალიაშვილის განკარგულებით უკანონოდ განთავისუფლდა ასეთი გადასახადისაგან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გუმარი", რის გამოც ბიუჯეტმა ვერ მიიღო 700 ათასი დოლარი. ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ცალკე მსჯელობის თემაა 1991 წლის დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების დროს და შემდგომ პერიოდში დანაშაულებრივი გზით ხელში ჩავდებული სახელმწიფო და კერძო ავტომანქანების საზღვარგარეთ გასაყიდად გატანის შემთხვევები, რაზეც უკვე მიმდინარეობს გამოძიება. წინასწარი მონაცემებით იკვეთება კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი სისტემა, რომელშიც კრიმინალებთან ერთად ფიგურირებენ რუსი სამხედროები და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები.

გამოძიებით დადგენილია, როცა დამნაშავე პირები მოქალაქეთა და სახელმწიფო ორგანიზაციების კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებს იტაცებდნენ, [illegible] რესპუბლიკის ტერიტორიაზე [illegible] ოცირებული რუსეთის [illegible] ნაწილებიდან იღებდნენ [illegible] ნების ვითომდა შეძენის [illegible] სტურებელ ყალბ დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც შინაგან საქმეთა სამინისტროს სარეგისტრაციო და სასწავლო ქვეგანაყოფების თანამდებობის პირები აფორმებდნენ და აღრიცხვაზე აჰყავდათ ეს მანქანები. ამის შემდგომ დატაცებული მანქანების რეალიზაცია ხდებოდა საზღვარგარეთ, ძირითადად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. დღეისათვის უკვე დადგენილია უკანონოდ შემენილი სხვადასხვა მარკის 200-მდე ავტომანქანა. წინასწარი მონაცემებით, გატაცებული მანქანების საერთო რიცხვი ათასზე მეტს აღწევს.

ცალკე თემაა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის, ტყის დანაშაულებრივი რეწვა. რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმა და კანონის სერიოზული დარღვევები გამოავლინა მრავალ რაიონში, რის გამოც სერიოზული პრეტენზიებია შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. ამ თემაზე ცოტა ხნის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში" უკვე დაიბეჭდა ჩემი მოადგილის როლანდ გილიგაშვილის ვრცელი სტატია, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ადგილებზე რაიონული ხელმძღვანელების ინიციატივასა და პრინციპულობაზე, კანონის პატივისცემასა და პირად მაგალითზე. ბევრი რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელი ამის სანიმუშო მაგალითებს იძლევა და ჩვენც მათთან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ. სამწუხაროდ, ყველაზე ამას ვერ ვიტყვით, რადგანაც ჯერ კიდევ ბევრ რეგიონში ხდება უკანონო აქტების მიღება, სამსახურიდან უსაფუძვლოდ დათხოვნები, სერიოზული დარღვევები პრივატიზაციის სფეროში, ხე-ტყის დამზადებაში და სხვა. უფრო მეტიც, ზოგიერთი გამგებელი სისხლის სამართლის კანონსაც აღარ ეპუება. სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის დაპატიმრებულია ახალგორის ყოფილი გამგებელი ბაშარული, სერიოზული პრეტენზიებია მარტვილის გამგებლის მიმართ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არის მიცემული ლანჩხუთისა და ხობის ყოფილი გამგებლები და სხვა.

დასასრულ, მინდა მკითხველები დავარწმუნო, რომ პროკურატურის მუშაკები თავს არ დაზოგავენ, რათა პოლიტიკურ ავანტურისტებს, მაფიურ და სხვა დესტრუქციულ ძალებს საშუალება არ მივცეთ შექმნან დესტაბილიზაცია და ქვეყანა ააცდინონ აღმშენებლობის, დემოკრატიისა და კანონიერების დამყარების გზას.

ჯამლეთ ბაბილაშვილი.
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

ინფორმაცია

„იბერიის“ ლენტიდან

ვლადიკავკაზი. ჩრდილოეთ კავკასიაში იქმნება საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე. წ. პარლამენტების წარმომადგენლები.

ვლადიკავკაზი. ყაბარდო-ბალყარეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ადილაყარემ“ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ფერხდება თურქეთიდან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან მუხაჯირთა დაბრუნება. განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ეს პროცესი ჩრდილოეთ კავკასიისგან განსხვავებით აფხაზეთში გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს.

ცხინვალი. ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ნიხასის თავმჯდომარემ ლუდვიგ ჩიბიროვმა და მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე კარამანმა ცხინვალში ხელი მოაწერეს სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ახალციხე. ე. წ. თურქ-მესხთა ექსტრემისტულ ორგანიზაცია „ფარანას“ ქ. ახალციხეში დაგეგმილი ჰქონდა 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგის ჩატარება, მაგრამ საქართველოს მთავრობამ მიტინგის ჩატარებაზე მტკიცე უარი განაცხადა.

ცხინვალი. ცხინვალის რაიონის ადგილობრივი სახელმწიფო ნიხასის არჩევნებისთვის შეიქმნა 18 საარჩევნო უბანი, რომლებშიც კენჭს იყრის 28 დეპუტატობის კანდიდატი. აღსანიშნავია, რომ ცხინვალის 30-ზე მეტ ქართველებით დასახლებულ სოფელში მსგავსი საარჩევნო უბნები საერთოდ არ შექმნილა, არ არის წამოყენებული არც ერთი ქართველი ეროვნების დეპუტატობის კანდიდატი, მაშინ, როდესაც რაიონის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ქართველია.

თბილისი. კავკასიის მშვიდობის ინსტიტუტის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები რუსების 85 პროცენტს, სომხების 28 პროცენტს, აზერბაიჯანლების 25 პროცენტს და ქართველების 11 პროცენტს სურს მუდმივ საცხოვრებლად რუსეთში გამგზავრება.

თბილისი. ამჟამად აღდგენილია ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“, რომლის მეშვეობითაც ელექტროენერგიის მიღებას საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვი. მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი მუსა შანიბოვი დაინიშნა რუსეთის ფედერაციის პარლამენტის ზედა პალატის ფედერაციის საბჭოს ოფიციალურ ექსპერტად ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საკითხებში. მ. შანიბოვმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი მოვალეობა იქნება რუსეთის ფედერაციის საბჭოში გარკვეულ რეკომენდაციათა გამომუშავება კავკასიაში რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით. „ადრე რუსეთის ხელმძღვანელობა გარკვეულ უნდობლობას იჩენდა მთიულ ხალხთა კონფედერაციის მიმართ, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც კონფედერაციამ პოზიტიური როლი ითამაშა აფხაზეთში და ხერხემალი გადაუტეხა ქართულ ფაშიზმს“.

მოსკოვი. რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში თავს დაესხნენ სამაჩაბლოს ტრაგედიის ერთ-ერთ ორგანიზატორს გენერალ კიმ ცაგოლოვს, რომელიც ოს სეპარატისტთა ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. თავად ცაგოლოვმა განაცხადა, რომ ეს თავდასხმა არ უნდა იყოს დამოკიდებული მის მოღვაწეობასთან სამხრეთ ოსეთში.

გთავაზობთ!
საწერ, საბეჭდ,
ქსეროქსის, პრინტერის,
სარედაქციო პერგამენტის
და ფინური წარმოების
სატიტულე ბლანკების
ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ანგარიშსწორება,
როგორც ნაღდზე, ასევე
გადარიცხვით
☎ 38-91-64

„სანთელი“ გიხმობთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს

ძვირფასო მკითხველებო! „საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ იყო და არის (ყოველ შემთხვევაში, მუდამ ცდილობდა და კვლავაც ეცდება) თქვენი სიხარულისა და ჭირ-ვარამის გამზიარებელი და თანამდგომი — სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაზეთი ხომ თქვენთვის და თქვენით არსებობს.

სწორედ ამის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ 1 ნოემბრიდან, სამშაბათიდან შემოვიღოთ ყოველდღიური ჩანართი **„სანთელი“**, რომელშიც ხელმისაწვდომ ფასებში გამოქვეყნდება ნებისმიერი რეკლამა და განცხადება (სამგლოვიარო განცხადებები, მიცვალებულთა გახსენება, დაბადების დღის, ქორწინების, შვილის შეძენის მილოცვა, განცხადებები ყიდვა-გაყიდვის, გაქირავება-დაგირავების შესახებ, სხვადასხვა რეკლამა და ა. შ.).

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველებო და განმცხადებლებო, ველით თქვენს გამოხმაურებას. გამოაქვეყნეთ რეკლამები თუ განცხადებები ტრადიციულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელსაც დღეს ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს. ცნობებისათვის დარეკეთ 93-28-13.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

წიგნის ახალი თარგმანი

სიმართლე აფხაზეთის ომზე

CONFLICT IN THE CAUCASUS
Eduard Shevardnadze

საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი რუსი ეთნოლოგის, პროფესორ **სვეტლანა ჩერვონაიას** წიგნმა — **„აფხაზეთი — 1992: პოსტკომუნისტური ვანდეა“**. იგი სხვადასხვა ენაზე ითარგმნა.

ჯერ კიდევ სოხუმის დაცემამდე, როცა ქართული მხარე ყოველნაირად ცდილობდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, სამშვიდობო ინიციატივით, სახალხო დიპლომატიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გუდაუთას გაემგზავრა საქართველოს დემოგრაფიისა და აღორძინების ფონდის ხელმძღვანელი სოლიკო ხაბეიშვილი. გუდაუთიდან დაბრუნების შემდეგ მან ამ ვიზიტის სხვა ინიციატორებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა მოსკოვში. სწორედ ამ პრესკონფერენციაზე გაიცნო მან სვეტლანა ჩერვონაია, რომელსაც როგორც თვითმხილველს, განზრახული ჰქონია აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით მასალის დაწერა. ბატონ სოლიკო ხაბეიშვილს წინადადება მიუცია მისთვის ღრმად გასცნობოდა საკითხს და დაეწერა წიგნი. სწორედ მასთან შეხვედრამ მისცა საბაბი ქალბატონ სვეტლანა ჩერვონაიას ამ გახმაურებული წიგნის დასაწერად. სულ ახლახან გამოვიდა მისი ინგლისური თარგმანი, რაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის საქართველოს დემოგრაფიისა და აღორძინების ფონდს, მის ხელმძღვანელ სოლიკო ხაბეიშვილს.

— ჩვენ იმისათვის ვიზრუნეთ, რომ ეს წიგნი გაიყიდოს მსოფლიოს ყველა ქალაქების აეროპორტებში. — თქვა ჩვენთან საუბარში ბატონმა სოლიკო ხაბეიშვილმა, — დაე, გაიგოს მსოფლიომ სიმართლე აფხაზეთის ომის გამჩაღებლებზე, მის ინსპირატორ მემარჯვენე რუსულ ძალებზე, აფხაზ სეპარატისტებზე. ეს წიგნი არ არის მიმართული აფხაზი ხალხის წინააღმდეგ, არც ქართველების დაცვას ისახავს მიზნად. ეს არის თვითმხილველის მიერ დაწერილი მწარე სიმართლე. ამ უაზრო ომის მიზეზებზე, რის შედეგადაც წაგებული აღმოჩნდა ორივე ხალხი — ქართველები და აფხაზები.

9 ნოემბერს ლონდონში შედგება ამ წიგნის პრეზენტაცია.

მზია გელენავა.

საგზაო პოლიცია

სამართლიანი კრიტიკის შემდეგ...

15 ოქტომბერს ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა თათბირზე სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გამოსვლაში საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა საგზაო პოლიციის მუშაობა...

ამასთან დაკავშირებით 20 ოქტომბერს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში რესპუბლიკური თათბირი გაიმართა. თათბირს ესწრებოდა საგზაო პოლიციის ყველა პასუხისმგებელი მუშაკი და ქვედანაყოფის უფროსი, ასევე პარლამენტის წევრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი გიორგი ჩიჩელაშვილი. მან აღნიშნა: მდგომარეობის საერთო სტაბილიზაციის მიუხედავად, ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზებია ცალკეული ტრასებისა და ქვედანაყოფების მუშაობაში. სამწუხაროდ, საგზაო პოლიციაში შემოაღწია ბევრმა გამომძალველმა და არაპროფესიონალმა. ამჟამად მიმდინარეობს ამ ხალხისაგან პოლიციის წმენდა. მარტო ბოლო ერთი თვის განმავლობაში საგზაო პოლიციის რიგებიდან 35 თანამშრომელი დავითხოვეთ. გათავისუფლდა რამდენიმე ტრასის უფროსი თავის მოადგილეებიანად. საგზაო პოლიციის პირად შემადგენლობაში დარჩებიან მხოლოდ ოფიცრები, მინისტრის ბრძანებით კატეგორიულად აიკრძალა სამგზავრო ავტობუსებისა და უცხოეთის სატვირთო ავტომანქანების გაჩერება, რესპუბლიკის 62 საგუშაგოდან 17 გაუქმდა.

მოხდა პოლიციის თანამშრომლების ატესტაცია. რაც არადამაკმაყოფილებელია. არცერთმა ქვედანაყოფის უფროსმა თავის თანამშრომელს ცუდი დახასიათება არ მისცა.

იმისათვის, რომ საგზაო პოლიციის თანამშრომელი გაერჩია მოსახლეობას სხვა ფორმირებისაგან, სამკერდე ნიშანი შემოვიღეთ. რამდენიმე დღეში ანალოგიური ნიშანი შემოიღო საგუშაგო-საპატრულო სამსახურმაც.

ქალაქის საგზაო პოლიციის პრობლემებსა და მუშაობის ხარვეზებს, შემდეგ კი პოლიციელთა მძიმე სოციალურ საკითხებს შეეხო დედაქალაქის ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ლევან კენჭაძე. სანამ ქუჩაში მდგომი პოლიციელი იმაზე იფიქრებს, თუ რა იშოვოს ოჯახის გამოსაკვებად, მანამ არავითარი წესრიგი არ დამყარდება.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა პარლამენტის წევრი გია ბარამიძე. მან აღნიშნა, რომ საგზაო პოლიციას საკმაო წვლილი მიუძღვის დამნაშავე სამყაროსთან ბრძოლაში. იგივე აზრი გასდევდა პარლამენტის წევრის, მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარის ლევან მამალაძის გამოსვლას. თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, პარლამენტის წევრი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით მგელაძემ.

თათბირის დასასრულ დააფუძნეს საქართველოს რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მოძრაობის უსაფრთხოების ფონდი, რომელიც საგზაო პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ერთ-ერთი წყარო გახდება.

ვასილ კავილაძე,
რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომელი.

პატივცემულო მკითხველო!

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ბავშვებს, რომელთაც დღეს ალბათ ყველაზე მეტად სჭირდებათ თქვენი სითბო და შემწეობა; ჩვენს შორის არის მრავალი ინვალიდი და ობოლი ბავშვი, რომელთა ხვედრი დღევანდელ გაჭირვებაში კიდევ უფრო გაუარესდა.

იმისათვის, რომ თქვენთან ერთად მათ მცირედ მაინც შევუმსუბუქოთ მდგომარეობა, ჩვენ — ამერიკის საელჩოს, იუნისეფის საქართველოს განყოფილების, ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქეას“, აგრეთვე, საქართველოს რამდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენლები გთავაზობთ მსოფლიოში გავრცელებულ მასობრივი დახმარების ფორმას — საქველმოქმედო კროსს დევიზით „საქართველო — ბავშვებისათვის“. ხუთკილომეტრიანი კროსი დაიწყება 29 ოქტომბერს 11 საათზე რესპუბლიკის მოედანზე. გათამაშდება ფასიანი პრიზები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

ინვალიდი და ობოლი ბავშვებისათვის დახმარება გროვდება როგორც კროსის უშუალო მონაწილეებისაგან, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. ნომინალური შესატანია 10 ამერიკული დოლარის შესატყვისი თანხა ეროვნულ და ნებისმიერ ვალუტაში. თუ ეს თანხა არ გაგაჩნიათ, გთხოვთ მონახოთ სპონსორი, რათა გადაიხადოს იგი თვითონ სპონსორის დასახელებით. იმათ, ვისაც ხუთკილომეტრიანი დისტანციის დაძლევა არ შეგიძლიათ, მაგრამ გსურთ თქვენი წვლილი შეიტანოთ ობოლი და ინვალიდი ბავშვების დახმარებაში, გთხოვთ შეძლებისდაგვარად დააფინანსოთ ერთი ან რამდენიმე მორბენალი თქვენი ვინაობის დასახელებით.

ველით შემოწირულობებს ორგანიზაციებისგან, თუნდაც საკვებისა და ტანსაცმლის სახით. ყველანაირ დახმარებას გაანაწილებენ უცხოეთის საქველმოქმედო ორგანიზაციები.

ხოლო იმათ, ვისაც არ შეგიძლიათ აღნიშნული თანხის გადახდა, უბრალოდ, თქვენი მონაწილეობითაც შეგიძლიათ შეუერთდეთ ამ საქველმოქმედო აქციას. ჩვენ ამისათვისაც მადლობელი ვიქნებით.

მონაწილეთა და სპონსორთა რეგისტრაციას აწარმოებს თბილისის მერიის საინვესტიციო-საკრედიტო ცენტრში — სააქციონერო კომერციულ „არაგვი-ბიზნეს ბანკში“. გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №3 (თბილისის მერიის გვერდზე), ტელ: 99-55-86.

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ კროსში. ამით თქვენ სიხარულს მოუტანთ ობოლ და ინვალიდ ბავშვებს.



ჩვენი ისტორია

საქართველოს შეწირული რაინდი

ერთიანი და თავისუფალი საქართველო სანუკვარ ოცნებად, ძირითად საფიქრალად გაუჩინა განგებამ ჩვენს ერს ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე. დაჩონჩხილი, დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანებისათვის, დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ეკონომიკურ-სამხედრო ძლიერებისათვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები. გარეშე და შინაურ მტერთა სიმრავლეს რამდენჯერ ბედის სასწორზე შეუგდია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ერის არსებობა, მისი ყოფნა-არყოფნა, მაგრამ ქართველ ხალხში რა გამოლევს ნაღდ მამულიშვილებს, რომელთა თავგანწირვის ფასად კვლავ წამოვმდგარვართ ფეხზე, გავერთიანებულვართ და არნახული სიძლიერისთვისაც კი მიგვიღწევია.

ისტორიაში მერამდენედ მძიმე დღეები დაუდგა სრულიად საქართველოს. ჭირს ჭირი დაესართა, მსხვერპლს მსხვერპლი მოჰყვა, სისხლმა სისხლი მოითხოვა. ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როცა ძმამ ძმას ვერ გაუგო, ხოლო ექსტრემისტებმა გარეშე წამქეზებელთა მხარდაჭერით ისარგებლეს საერთო არეულობით, დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში შექმნილი შიგა თუ გარე წინააღმდეგობებით და მღვრიე წყალში თევზის ჭერას წაეტანენ.

საქართველომ იცის ამგვარი ღალატის სუსხი და თანაც რამდენჯერ, ისიც ვისგან — საკუთარი შვილებისაგან, ასევე მასთან გათანაბრებული და ერთად შეზრდილი სხვა ეთნოსებისა თუ ერებისაგან, რომელთა გადარჩენასა და დღევანდლამდე მოყვანაში არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის თვით ქართველ ერს. ნუთუ ამისათვის გაუძლო ამ ქვეყანამ ათას ჭირ-ვარამს, ამისათვის იხილა „ძლევაი საკვირველი“, რომ ვიღაც-ვიღაცეებმა XX საუკუნის დამლევს უმუხთლონ, ცივილიზებული მსოფლიოს თვალში დააკნინონ საქართველოს საყოველთაო აღიარება!

„აფხაზეთის პრობლემა“ ისევე როგორც სამაჩაბლოს ანუ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის პრობლემა“, ახალი არ არის. ის წლების მანძილზე იქმნებოდა ჩვენივე გულგრილობისა თუ წაყრუებისა გამო. ეს იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ დროთა განმავლობაში აფხაზეთში თუ გააფხაზებულ ქართველებში და ოსებში თავი იჩინა სეპარატიზმმა, საქართველოს ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობამ, რის გამოც აფხაზეთი და სამაჩაბლო შინა თუ გარე ვაილიდერების, წამქეზებლებისა და მკვლელების, მძარცველებისა და ტერორისტების თავშესაფრად იქცა, რომელთა ბარბაროსულ ქმედებებს უკვე შეეწირა ერთ მიწაზე საუკუნეების მანძილზე მცხოვრებთა ათასობით სიცოცხლე.

ერის ისტორიაში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია სამხრეთ საქართველო, რომელიც სამ საუკუნეზე მეტ ხანს სხვის მფლობელობაში იყო და ვაი რომ მისი დიდი ნაწილი (სამწუხაროდ არამარტო სამხრეთ საქართველოსი) დღესაც სხვათა ხელშია. ისტორიისათვის ისიც ცნობილია, რომ სამხრეთ საქართველოს ხანგრძლივი დროით სამშობლოსაგან ჩამოშორებაში დიდ როლს ასრულებდნენ თანამდებობებს დახარბებული გაფაშებული ვაი ქართველები, რომლებიც კბილით იცავდნენ თურქ-ოსმალთა ინტერესებს. სწორედ ამ მეტად მძიმე ჟამს ლეგენდარულ გმირ ქართველ მამულიშვილთა პლეადაში ჩამდგარა აჭარის მთის ღირსეული შვილი სელიმ ხიმშიაშვილი, რომელმაც დიდი ბრძოლების ფასად მოიპოვა ახალციხის ფაშის ტახტი და რომელსაც ექვემდებარებოდა მაშინდელი თურქეთის მფლობელობაში მოქცეული სამხრეთ საქართველოს 17 ვილაიეთი მესხეთ ჯავახეთითა და აჭარით, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების ჩათვლით. იგი იყო ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკოსი და თურქეთის მფლობელობაში მყოფი სამხრეთ საქართველოს პირველი გმირი მამულიშვილი, რომელმაც საფუძველი დაუდო ოსმალთა იმპერიის ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისა და სამშობლოსთან დაბრუნებისათვის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას, მით უმეტეს, რომ მას არ აკლდა არც თანამდებობა, არც სიმდიდრე და დაფასება სულთნის ამალაში და შეეძლო მრავალ წინაპართა მსგავსად ემსახურა თურქეთის სულთნის საამებლად და არ დაედო თავი ბედის სასწორზე.

ცნობილია თუ რა სასტიკი მიზნებით იყო შეპყრობილი ოსმალთა იმპერია (და არამარტო ოსმალთა), რომელიც ყოველნაირად ცდილობდა დაპყრობილ ტერიტორიებზე ჩაეკლა ყოველგვარი თავისთავადი, ეროვნული და დაემორჩილებინა თავისი ბატონობისათვის. სწორედ სამ საუკუნოვანი ბატონობის დროს მან დიდ ეკონომიკურ ზარალთან ერთად აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა სამხრეთ საქართველოს სულიერ სფეროს, რამდენადაც თითქმის მთლიანად გაანადგურა ძველი კულტურა, ცეცხლს მისცა ან გადამალა ისტორიული მასალები, რამაც განაპირობა მთლიანად სამხრეთ საქართველოზე და მათ შორის აჭარაზე ისტორიული წყაროების სიძუნწე.

სელიმ ხიმშიაშვილი დაბადებულა 1755 წელს ხულოს მახლობლად სოფელ ნიგაზეულში (დღევანდელი შუახევის რაიონი). მისი მოღვაწეობის დასაწყისისათვის, სწორედ XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალციხის ფაშა ხშირად არბევდა აჭარასა და ათასგვარი გადასახადებით ბეგრავდა, რამაც სელიმი ახალგაზრდობიდანვე განაწყო ახალციხის ფაშის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას მიზნად დაუსახავს მხარის განთავისუფლება ოსმალო ფაშებისაგან და დედასაქართველოსთან დაბრუნება. იგი მაზრებსა და სოფლებში იკრებდა თანამოაზრეებს. მისი პირველი ბრძოლა ახალციხის ფაშის წინააღმდეგ აჭარის აჯანყებაში გადაზრდილა, რაც შემდეგ მთელ სამხრეთ საქართველოს მოსდებია.

1803 წელს სელიმ ხიმშიაშვილის განუწყვეტელი თავდასხმებით, მისი დიდი სიძლიერითა და გონივრულობით შეშინებულ სულთანს ბოლოს და ბოლოს უცვნია სელიმის ძლიერება, ვითომდა შემოსარიგებლად აღმოსავლური ცბიერებით მისთვის ჯერ აჭარის ალობა, შემდეგ კაფუჯი-ფაშობა და ბოლოს ახალციხის სამთუღიანი ფაშის ხარისხიც უბოძებია, რაც უმაღლესი ხარისხის ფაშას ნიშნავდა. მაგრამ იმდენად ძლიერად ყოფილა სელიმის სულში საერთო ეროვნული, მძლავრი ქართული შემართება ჩაბუდებული, რომ არაფრად ჩაუგდია თავისი უაღრესად მაღალი მდგომარეობა და ყველაფერი საქართველოს გაერთიანებისა და მომავალი ძლიერებისათვის შეუწირავს. სელიმი ჭეშმარიტი მამულიშვილების — ერეკლე მეორისა და სოლომონ მეფის მხარდამხარ იბრძოდა საქართველოს გადარჩენისათვის, რისთვისაც მათთან თურმე ხშირ საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა და არა მარტო მათთან. იგი იმოყვრებს გურიელს, მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის სამეფოსთან. ერთი სიტყვით, ყველა ზომებისათვის მიუმართავს, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მტერს და თურქეთის წინააღმდეგ მოწყობილ ერთ-ერთი დიდი ბრძოლის დროს კვლავ შინა მოღალატის, მისი უახლოესი თანამებრძოლის ღალატით ტყვედ ჩავარდნილი 1815 წლის 3 ივნისს სიკვდილითაც დასაჯეს. თუმცა სიკვდილის წინაც არ მოუხრია ქართული ქედი. დღესაც შთამაგონებლად ჟღერს მისი სიტყვები, ჯალათებისათვის რომ მიუმართავს: „მართალია მე მჭრით თავს, მაგრამ გჯეროდეთ, რომ გურჯისტანი ოსმალთ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შთამომავლობას დავუტოვებ“. რამდენად ნიშანდობლივია, რომ მისი მრავალი ვაჟიდან ოთხნი სხვადასხვა ვილაიეთის მფლობელები ყოფილან და ღირსეულად აგრძელებდნენ მამის გზას, რაც კიდევ უფრო მძლავრად გადმოსულა მის შვილიშვილებში. აკი ნაწილობრივ მაინც აღსრულდა სელიმის ოცნება და საქართველოს დაუბრუნდა ჯერ მესხეთ-ჯავახეთი და შემდეგ აჭარაც, რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი სელიმის შვილიშვილი, გენერალი შერიფ ხიმშიაშვილი ყოფილა. რამდენი სიკეთის გახსენება შეიძლება დიდი მამულიშვილის — სელიმ ხიმშიაშვილისა და მისი შთამომავლობის გმირული წარსულიდან, და ვაი რომ ისინი დიდხანს მივიწყებული იყვნენ და ეს საკითხი მხოლოდ ზოგიერთი მკვლევარის კვლევის საგანი თუ გამხდარა.

სწორედ სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლის ღირსეული დაფასებისა და მისი უკვდავყოფის, ასევე ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში ყველა ქართველში პატრიოტული სულის გაძლიერებისა, სელიმ ხიმშიაშვილისებრი თავგანწირვის ჩანერგვის მიზნით ჩვენი ინიციატივით 1990 წლის 11 აგვისტოს ქ. ბათუმში, მეზღვაურთა კლუბში გამართულ ფართო წარმომადგენლობით კრებაზე დაარსდა სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება, რომელიც შემდეგში გარდაიქმნა პოლიტიკურ პარტიად და რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ. საზოგადოების რეგიონული ორგანიზაციები შექმნილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაში. იღვწის ქვეყნის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, შინა ომების, ქაოსის ლიკვიდაციისა და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

საზოგადოებამ 1992 წლის 27 ივნისს სელიმ ხიმშიაშვილის მშობლიურ სოფელ ნიგაზეულში ჩაატარა ფართომასშტაბიანი რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კონფერენციის გადაწყვეტილებების შესაბამისად საზოგადოება თავისივე ხარჯებით 1992 წელსვე შეუდგა სელიმის საფლავის გამთლიანებისათვის მოკვეთილი თავის (რომელიც სტამბოლში ყოფილა დასაფლავებული) ძიებას, რისთვისაც ფართო წარმომადგენლობითი ექსპედიცია მოვაწყვეთ თურქეთში. ასევე, იმავე წელს, საზოგადოებამ საქართველოს მთავრობის წინაშე ოფიციალურად წამოაყენა წინადადება სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებისა და გარდაცვალებიდან დიდი თარიღების — 240 და 180 წლისთავის საიუბილეო ღონისძიების 1995 წლის მაის-ივნისში ჩატარების შესახებ, რის საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ შექმნა საიუბილეო კომისია, დაისახა კონკრეტული გეგმებიც. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ქაოსისა და ომების, ასევე კომისიის ხელმძღვანელის ინერტულობის გამო ბევრი არაფერი გაკეთებულა, რამაც გვაიძულა მიმდინარე წლის 1 სექტემბერს ოფიციალურად წერილობით მიგვემართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძისათვის. სახელმწიფოს მეთაურის რეზოლუცია: „ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს. გთხოვთ შეისწავლოთ ეს საკითხი, სასურველია მოვეთათბიროთ ბატონ ასლან აბაშიძეს (კარგი იქნება, თუ აჭარაშიც აღინიშნება) და მივიღოთ გადაწყვეტილება“ გვაძლევს მტკიცე რწმენას, რომ იუბილე მაღალ დონეზე აღინიშნება. წინასწარ გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ სამინისტროს, დაწესებულება-ორგანიზაციასა თუ კერძო პირს, ვინც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ მამულიშვილური ღონისძიების მომზადება-ჩატარების საქმეში.

სიმონ შარაძე,
სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო თელავის რაიონის გამგეობისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან და თავისი დადგენილებით ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალი აგრარული უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი დაფინანსებისა და მისაღები კონტინგენტის ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 26 ოქტომბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	1, 544, 548. 26	კუპონი
ავსტრიული შილინგი	198, 834. 83	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	3, 404, 103. 48	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	680, 274. 63	კუპონი
გერმანული მარკა	1, 399, 345. 27	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	1, 249, 036. 82	კუპონი
დანიური კრონი	357, 417. 91	კუპონი
100 იტალიური ლირა	137, 360. 20	კუპონი
კანადური დოლარი	1, 550, 733. 33	კუპონი
ნორვეგიული კრონი	321, 373. 13	კუპონი
აშშ დოლარი	2, 100, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	455, 383. 08	კუპონი
ფრანგული ფრანკი	408, 716. 42	კუპონი
შვედური კრონი	292, 363. 18	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	1, 684, 715. 42	კუპონი
10 იაპონური იენი	215, 606. 97	კუპონი
ეკიუ	2, 663, 642. 79	კუპონი
10 ესპანური პესეტა	168, 229. 85	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	91, 104. 48	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	3, 363, 148. 26	კუპონი
ისლანდიური კრონი	31, 628. 86	კუპონი
ქუვეიტური დინარი	7, 088, 610. 95	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	12, 641. 79	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	136, 712. 44	კუპონი
სინგაპურული დოლარი	1, 426, 920. 40	კუპონი
10 თურქული ლირა	592. 04	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	621, 119. 40	კუპონი
რუსული რუბლი	665. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	501, 243. 75	კუპონი
ლატვიური ლატი	3, 672, 116. 70	კუპონი
ესტონური კრონი	167, 001. 45	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	2, 154. 60	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	39, 793. 60	კუპონი
მოლდავეთის ლეი	472, 868. 20	კუპონი
ყირგიზეთის სომი	190, 948. 10	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	2, 759. 75	კუპონი
უზბეკეთის სუმი	91, 138. 25	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	1, 250. 20	კუპონი
სომხური დრამი	5, 592. 65	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი

„არაგვი ბიზნეს ბანკი“
ფიზიკურ პირებს
სთავაზობს ახალი
სახის მომსახურებას
„არაგვი-ექსპრესის“
საშუალებით:
ნაღდი რუსული მანეთებისა
და აშშ დოლარების
სასწრაფო მიწოდებას
მოსკოვიდან თბილისში
და პირიქით.
თქვენ არ დაგჭირდებათ
ნაღდი ფულის ტარება —
ამას თქვენთვის გააკეთებს
„არაგვი ექსპრესი“
მინიმალური საკომისიო
გასამრჯელოთი.
ჩვენი ტელეფონები:
37-44-51, 93-25-94 (ფაქსი)

წერილი რედაქციას

წლეულს, 19 ოქტომბრის, გაზეთ „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუში, რომელიც ეხებოდა ჟურნალის საპრობლემო საკითხებს, უნებლიედ დავუშვი შეცდომა, როცა განვაცხადე, რომ საყმაწვილო ჟურნალ „დილას“ პრესის გამავრცელებელი საზოგადოებები უქვეითებენ გავრცელების ხარჯებს.

ასეთ განცხადებას უნდა დართვოდა მინიშნება, რომ რესპუბლიკისა და ქალაქის სახელმწიფო დაქვემდებარების „საქპრესის“ გამავრცელებელი ორგანიზაციები, რომლებსაც გააქვთ ჟურნალ „დილას“ უფასოდ გამოცემული ტირაჟის დახლოებით მეოთხედი, 1994 წლიდან ათავისუფლებენ რედაქციას ამ გადასახადებისაგან, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ზემოხსენებულ ორგანიზაციებს და მათ ხელმძღვანელებს.

თენგიზ ჩალაურ
ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორ

საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიისაგან

აკადემია აცხადებს ვაკანსიებს მის შემადგენლობაში ასარჩ შემდეგ განყოფილებებში:

	ნამდვილი წევრი	წევრ-კორესპონდე
1. ეკონომიკის თეორიის	1	3
2. მაკროეკონომიკის	1	3
3. მიკროეკონომიკის	2	2

განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში აუცილებე შემდეგი საბუთების წარმოდგენა: წარდგინება, კადრების აღრიც პირადი ფურცელი, დიპლომების ასლები, მეცნიერული შრომ სია, მეცნიერული მოღვაწეობის შეფასება, ავტობიოგრაფია.

მისამართი: პუშკინის ქ. 5, ოთახი 408, ტელ.: 99-60-20.

აკადემიის პრეზიდიუმი

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, ოქტომბერს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოგიაშვილ
ინდექსი